ქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 მარტი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, ცალკე [illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 15X3 სტრიქონის [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, [illegible] ქუჩის მე-10-თან. ტელეფონი 16—62

№ ჲე — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების — № 65

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ემილიანე იესეს ძე კალანდაძე, შვილი ვალენტინ (ტატუნა), მამამთილი იესე, დედამთილი პელაგია, მაზლები: ერმილე, კოწია და ბენედიქტე, მულები ელენე, ზაბილინე და ნინიჩკა, ძმები: პისტი და ოლია კალანდაძეები ამით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის უდროოდ გარდაცვლილის

თამარა არტემის ასული კალანდაძის

ორმოცი დღის გამოტირილი დანიშნულია შაბათს 20 მარტს 1920 წ. სოფელ ხიდისთავში (გურია). (1019 2—2)

ანასტასია ზაქარიას ასული კანდელაკი, ქმარი მისი ესტატე იოანეს ძე და შვილი იოანე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი შვილის ამიერ კავკ. უნივერსიტეტის მე 2 კურსის მსმენელ ქალის

ელენე იტრიევის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ორშაბათს 15 მარტს, პანაშვიდი ყოველ დღე ხუთშაბათიდან, 18 მარტიდან საღამოს 6 ს. გამოსვენება კვირას 21 მარტს, დილის 10 ს. მიცვალებულის ბინიდან, სადგურის იქითა მხარე ბუფეტის შესახვევი სახლი № 9 თანდილოვის ეკლესიაში (მიხეილის პრ.) დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე (1022 2—2)

ზარდაცემულნი და სიცოცხლე მოწამლული მშობლები: სოლომონ გრიგოლის ძე, სიდონია გიორგის ასული, ძმა ალექსანდრე სოლომონის ძე, რძალი ოლღა გრიგოლის ასული და ძმის შვილი ნინო მიქელის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის

გიორგის (გოგიას) გუზიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, გამოსვენება საკუთარ სახლიდან: მე 9 კომ. რკინის გზის ქუჩა № 11, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 21 მარტს დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლეს. სასაფლაოზე. პანაშვიდი მუდამ დღე საღამოს 7 საათზე (1020 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე რაისია თომას ასული: შვილები: ევთანდილ, სიმონ, ნესტორ, არონ, სერგო, ლეონტი, ელისე და ილია, გერა ჯამსია და დარია თევნიეშვილისა, რძლები: ელენე, შუშანიკა (გოგო) და სონია, შვილის შვილები: ანელია, მაგლოთია და ვალერიან, სიძეები: აკია თევნიეშვილი და აკაკი ქლენტი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

დავით ეგნატეს ძე ქლენტი

დაკრძალვა მოხდება სოფ. ბასილეთში (გურია) წმ. ვასილის ეკლესიის გალავანში 20 ამა მარტს, ახალი სტილით. (1018 2—2)

კვირას 21 ამა მარტს, დილის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში იქნება გადახდილი

მატრონა დანიელის ასული ცინცაძისა

ნახევარი წლის სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის შვილები. (1034 1—1)

გულდათუთქულნი კაკო, სონა, ქრისტეფორე, ვლადიმერი, შურა, ნინა, ლეონიდა და სევერიან გიორგაძეები, ვასილი, კონსტანტინე, მიშა და ქეთუკა მენაბდიშვილები, ანიკო, ვერა და ლილი სარდიძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პატარა უსაყვარლესი ბათუმის გიმნაზიის მე 7 კლასის მოწაფე

საშა გიორგის-ძე მაჭუტაძის

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას 21 მარტს ს. შემოქმედში (გურია). (1040—1—1)

ქუთაისის მაზრის და ქალაქის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირი ღრმად დამწუხრებული გლოვით აუწყებს, საზოგადოებას დაუღალავი მუშაკის საქართველოს რესპუბლიკის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის ამხ.

კოვლელაშვილის

გარდაცვალებას. (ქუ3. 262 1—1)

უბედური მამა მიტროფანე, ძმა ალექსი, რძალი ვარვარა, დები: მაშო და მართა, ძმისშვილები: ეკატერინა, შალვა, ისაკი და პავლეია, დის შვილები: მაკარი, კატო, გიორგი და თენგისო, სიძეები: ლავრენტი გვარჯალაძე, თედორე გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო მიტროფანეს ასული კალანდაძისა

დაკრძალვა მოხდება თფილისში 21—მარტს დღეით კვირას ნაშუადღევის 3 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან და დაკრძალავენ წ. ნინოს ეკლესიის გალავანში. (1037 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გაუბედურებული მეუღლე სიკო, შვილი ცაცანო, დედამთილი [illegible], მულები ვერიკო და კატო, მულის შვილები ნინიჩკა თავის ქმრით, საშა, პეპიკო, ზინა და ტიტუშა, სიძეები: ქრისტეფორე თავბერიძე და იაშა კალანდაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 19 მარტს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ნინო მიტროფანეს ასული კალანდაძისა

დაკრძალვა დანიშნულია 21 მარტს, კვირას, 3 საათზე. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან, დასაფლავება წმინდა ნინოს ეკლესიის გალავანში. (1038—1—1)

აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

„მომავალი“

სარედაქციო კოლეგია მოუწოდებს სტუდენტობას მოაწოდონ შესაფერი მასალები. მასალების გამოგზავნა შეიძლება დროებით კანტორა „განათლება“-ში. თფილისი, ოლღას ქ. № 6. (3—2)

კინემო „მინიონი“ 21, 22, 23 და 24 მარტს

ქ. თფილისში გადაღებული სურათი ამხ. საზ. „ფილმის“ მიერ თფილისის მსახიობთა მონაწილეობით.

მითხარი რისთვის?...

ნოქტიურნ შოპენის კინო დრამა 5 მოქმედებათ, დადგმა რეჟისორ ვ. გ. ბარსკისა მხატვარ ვ. პ. სიმოვის თანამშრომლობით.

უმთავრეს როლებს ასრულებენ: პ. ა. კაშევსკი, „დრ. ტარტოს“ მსახიობი, ე. ა. ჩარსკაია, ევგენია სებარი, ანნა დავიდოვისა, ვიქტოროვი, არბატოვი და სხვ. (1035—2—1)

ხუთშაბათს 25 მარტს საღამოს 7 საათზე ხელოსანთა მზრუნველობის დარბაზში დანიშნულია წვრილ მესაკუთრეთა ოქრო-მჭედლების, მესაათეების და ვერცხლის მჭედლების კავშირის წევრთა

წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მდივნის მოხსენება 2) მოლარეს ანგარიში 3) მიმდინარე კითხვები 4) გამგეობის არჩევა. წევრთა დასწრება სავალდებულოა. (1033—1—1)

მე-6 რაიონის **მუშათა კლუბის** მე-II განყ.

ზუბალოვის ქ., № 32. კვირას, 21 მარტს საქ. სოც.-დემ. პარ. მე-6 რაიონის ქალთა ორგანიზაცია მართავს

დიდ საღამოს

ამავე რაიონის ახლად გახსნილ მუშათა კლუბის სასარგებლოდ. საღამო მეტად მრავალფეროვანი იქნება. მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მგოსანთა და სცენის მოყვარეთა საუკეთესო ძალები. დასაწყისი საღ. 8 საათზე. საღამოს დიასახლისი ო. სოლოღაშვილი. (ფუ. 1—1)

სახელმწიფო უნივერსიტეტში

კვირას, 21 მარტს, საღამოს ხუთ საათზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში სტუდენტთა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის ინიციატივით გაიმართება

საჯარო მოხსენება

შემდეგ თემაზე:

„მარქსიზმის თეორეტიულ-შემეცნებითი საფუძვლები“.

მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შურა დუდუჩავა

მოხსენების შემდეგ

კამათი

სახ. უნ. სტუდენტთა ს. დემოკრატიული ფრაქციის ბიურო. (უ. 1—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის).

„დ. დ. დიკანოზიშვილის“ ფირმისა.

დუშეთის ქუჩა № 22 ბინა მეჯინარიშვილისა. საღამოს 4—7 საათამდის. (1026—3—1)

მომარაგების სამინისტრო ამით

აუწყებს ყველას, რომ კონსტანტინეპოლში, და სხვა ქალაქებში გავრცელებული ხმები, ვითომ ფოთის ნავთ სადგურში შემოსვლა საშიში იყოს იქ გავრცელებულ გადამდებ ავადმყოფობათა გამო და გარდა ამისა საქართველოში შემოტანილ საქონელზე [illegible] იდებოდეს რეკვიზიციები, სინამდვილეს არ შეეფერება. (ნ. 1—1)

ამით ვაცნობებთ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ქალაქის

გოგირდის აბანოები

ღია იქნება შემდეგ კვირა დღეებში 28 მარტს 4 და 25 აპრილს დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის. ამ დღეების წმინდა შემოსავალი გადაეცემა გორის მაზრაში მიწის ძვრისგან დაზარალებულთ

ქალაქ გოგირდის აბანოების ადმინისტრაცია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რადგან 21 მარტს მუსულმანთა უქმეა, ამისთვის ამ დღეს აბანოები დაკეტილი იქნება. (1028—1—1)

[illegible] სრულუფლებიანი გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე, მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

ადგენს

საღამოს მოსამზადებელ ჯგუფს

1921 წლისათვის მოსამზადებლად

სიმწიფის მოწმობაზე

და 4, 5, 6, 7 კლასისათვის, მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 25 (შესავალი ალექსის ქუჩ. № 5.) ჩაწერა ყოველ დღე 9—12 ს. და 4—7 ს. (ნ 2—2)

ექიმი ზ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ლ.)

---

19 მარტის მნიშვნელობა

აღმოუფხვრელი და დაუვიწყარია ის შთაბეჭდილება, რომელიც გუშინწინდელმა დღემ დასტოვა ყოველ მოქალაქეზე. დამფუძნებელ კრებისათვის ეს იყო ნამდვილი „დიდი საპარლამენტო დღე“ და მთელ საქართველოსათვის, მთელ ქართველ ერისათვის ეს იყო დიდი პოლიტიკური დღე. მიუხედავათ იმ „დისსონანსებისა“, რომელიც ზოგიერთმა პარტიამ, ზოგიერთმა ორატორმა შეიტანა თავის ლაპარაკებით საერთო მწყობრ პოლიტიკურ დემონსტრაციაში, დღეს აზრი, რომლითაც გამსჭვალული იყო ყოველი საქართველოს მოქალაქე განურჩევლად პარტიისა, შეხედულებისა, სოციალურ-პოლიტიკურ რწმენისა, ერთი იყო: საქართველოს არ შეუძლიან უბათუმ-აჭაროდ არსებობა და ბათუმ-აჭარას—საქართველოს გარეშე, თვით ოპოზიციის გამოლაშქრება, ის მწარე და, როგორც ყოველთვის, მოშეტებულ წილად უსამართლო საყვედურები, რომლითაც მან მიმართა რესპუბლიკის მთავრობას, მხოლოდ იმ შიშით და ზრუნვით იყო გამოწვეული, რომ საქართველომ ბათუმ-აჭარა არ დაკარგოს. ამ შიშმა და ამ ზრუნვამ გააერთიანა მთელი საქართველო სოც.-დემოკრატებიდან დაწყებული [illegible] პარტიამდის და [illegible] ხევსურეთიდან დაწყებული აჭარა-ოსმალეთამდის.

აღტაცების და მოწიწების მომგვრელი იყო ის კეთილშობილური, ყოველის ანგარიშისაგან განთავისუფლებული და გაწმენდილი გრძნობა, რომელმაც აამოძრავა დიდ საპოლიტიკო გამოსვლისათვის მთელი ქართველი ერი და რომელიც ცეცხლის ალივით მოედებოდა და სწვავდა მას გულს. ბათუმ-აჭარის დაბრუნება ქართველ ერის შეგნებაში არ არის დაკავშირებული მხოლოდ იმ აჭარის მიწიერ სარგებლობასთან, რომელსაც თვით ქართველი ერი გამოიღებს ამ აქტისაგან, ქართველ ერის მისწრაფება სრულიად მოკლებულია იმ იმპერიალისტურ მადაგახსნილობას, რომელიც აამოძრავებს ბათუმის საკითხში ყველა მის პრეტენდენტებს. პირიქით, ქართველ ერს უპირველეს ყოვლისა თვით ბათუმ-აჭარის ბედი აღონებს, მის მცხოვრებთა ტკივილები უკლავს გულს, ქართველ მაჰმადიანთა მომავალი აფიქრებს. ეს სრულიად უანგარო, ნაციონალურ ეგოიზმისაგან განთავისუფლებული, სიფაქიზის უმაღლეს წერტილამდის აყვანილი გრძნობა გამოსჭვიოდა ყოველ გამოსვლაში, ყოველ ორატორის სიტყვაში, იმ სულიერ განწყობილებაში, რომლითაც გამსჭვალული იყო დამფუძნებელი კრებაც და ის ზღვა ხალხიც, რომელიც მის კედლებს მოაწყდა.

აზრის, გრძნობის, პოლიტიკური მისწრაფების ორი ნაკადი ერთიერთმანეთისაკენ გაემართა და ერთმანეთს შეუერთდა ამ დღეს. ერთი ნაკადი მოსჩქეფდა ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა მხრით. მრავალი დეპეშები და წერილი, რომელიც ქართველ მაჰმადიანებისაგან იყო გამოგზავნილი და დამფუძნებელ კრების სხდომაზე იყო წაკითხული, წარმოადგენდა ერთის და იმავე ლაიტმოტივის: ბათუმ-აჭარის მცხოვრებნი უზომო ტანჯვა ვაებას განიცდიან, მათი არსებობა შეუძლებელია, თუ დედა-საქართველოს წიაღს არ დაუბრუნდნენ. „მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლად საქართველოს რესპუბლიკისაგან საჩქარო დახმარებას და მფარველობას მოვითხოვთ“; „ბათუმის ოლქის ასეთ საშიშ, არა ბუნებრივ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ვთხოვთ საქართველოს მთავრობას შემოიყვანოს ჩვენში თავისი ჯარი“, „უკიდურეს გაჭირვებაში მყოფნი ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, განამტკიცოს ჩვენში წესიერება და ბათუმის ოლქის საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანება სისრულეში მოიყვანოს“. ასეთი იყო ღაღადისი ქართველ-მუსულმანობის თავის დედა-ერისადმი, ღაღადისი, რომელმაც დამფუძნებელ კრების ყურადღება მიიპყრო.

ქართველმა ერმაც შეისმინა თავისი შვილის ღაღადი, დედური გული აუტოკდა მას და, შვილის ტკივილებით გამწარებული, თავდავიწყებით გაექანა მის საშველად. ქართველი მუსულმანობა ამ ანარქიის მსხვერპლი გახდება! ბათუმ აჭარას აოხრება ელის მთელის ოსმალეთის ურდოებისაგან! ლენინის ბოლშევიკებმა აწიოკეს აჭარლები! „ბათუმის ოლქის მცხოვრებნი სპეკულიანტების ხელში ჩაცვივდნენ“!—აი რა აღელვებს და რა უტოკებს გულს ქართველ ერს ბათუმ აჭარის საკითხში.

ასეთი იყო დაუვიწყარი, აღმოუფხვრელი და მოწიწების მომგვრელი აზრი 19 მარტის დღისა. კაცობრიობის ისტორიამ იცის მომენტები, როდესაც რომელიმე ხალხი უმაღლეს ზნეობრივ სისპეტაკემდის ამაღლებულა და ამისთანა მომენტში 19 მარტის დღე საპატიო ადგილს დაიჭერს.

დამფუძნებელი კრება

19 მარტის სხდომა.

თავმჯდომარ. ამხ. ლომთათიძე.

სხდომას აურიცხელი გარეშე საზოგადოება ესწრება. მთელი დარბაზი ხალხით გაჭედილია. ყველას აინტერესებს თუ რას იტყვის საქართველოს ხალხის ნებასურვილის უზენაესი გამომხატველი დამფ. კრება და მის მიერ არჩეული და ნდობით აღჭურვილი მთავრობა ბათუმის საკითხის შესახებ. ყველა მოუთმენლად მოელის სხდომის გახსნას. სასახლის წინ ზღვა ხალხს მოუყრია თავი და იქიდან გუგუნი მოისმის. სხდომა იხსნება 12 ს. 15 წუთზე. პირველ რიგში კრება იხილავს აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობათა შორის დადებული სატრანზიტო ხელშეკრულებას, ხელშეკრულება ერთობ გრძელია და ხალხი მოუთმენლად მოელის ბათუმის საკითხზე გადასვლას. ხელშეკრულებას დამფ. კრება ერთხმად ადასტურებს. ხელშეკრულების ძალით დაწესებულია თავისუფალი ტრანზიტი გარედან შემოტანილ საქონლისა აზერბეიჯანის და საქართველოს ტერიტორიებზე და აგრეთვე ხელშეკრულებაში აღნუსხულია წესი აზერბეიჯანიდან საქართველოში და პირიქით საქონლის შემოტანა-გამოტანისა. ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით. კრება გადადის ბათუმის საკითხზე.

ბათუმის საკითხი

სოც.-ფედერ. შეკითხვას მთავრობისადმი ბათუმის საკითხის მდგომარეობის შესახებ ასაბუთებს ს. მდივანი, რომელიც აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, ისტორიისა, კულტურისა და ეთნოგრაფიისა ბათუმი ძალადობით ჩამოგლიჯეს დედა საქართველოს, ერთი ნაწილი მოჰკვეთეს მის სხეულს. თუ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს, არ დაუბრუნდა, „მას, საქართველოს) გაუჭირდება ცხოვრება, გაუჭირდება სუვერენობის შენახვა. ბათუმი უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს; ჩვენ გვაქვს ამის მორალური, ისტორიული და ბუნებრივი უფლება, ვინც ამაში შეგვეცილება, ის ჩვენი მტერია. ბათუმი ჩვენი კულტურის აკვანია, ბათუმი აშენებულია ქართველი ხალხის მიერ, თვით ქართველმა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ პირველად ბათუმში აიღო [illegible] და იქ დაიღვარა პირველი სისხლი. ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ჩამოგვგლიჯა ბათუმი და ამ ხელშეკრულებით გათამამებულმა ოსმალეთმა ისტორიული ბოროტება ჩაიდინა. მოკავშირეებმა ბრესტის ხელშეკრულება გააუქმეს, ყარსი დაუბრუნეს პატრონს, ხოლო ბათუმის შესახებ ეს არ გამოიყენეს. დღეს ვინ გინდათ რომ ბათუმზე პრეტენზიებს არ აცხადებდეს: თავის სამშობლოდან გაქცეული სერვერ-ბეგი, მას დასდევენ დენიკინის აგენტები—რუსები და თავის სამშობლოდან გამოქცეული ოსმალები. შემდეგ ორატორი ეხება მეზობელ რესპუბლიკების დამოკიდებულებას ბათუმის საკითხთან და ამბობს, რომ ჩვენ არ მოგვესმინია ბათუმის შესახებ გადამწყვეტი სიტყვა. მოკავშირეების პოლიტიკას ამიერ კავკასიაში ასე ახასიათებს ორატორი: გათიშე და იბატონე, აი მათი პოლიტიკის მთავარი აზრი. მათ ჩვენში შემოსვლისას განაცხადეს, რომ ისინი არ ჩაერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში. მაგრამ განა არ ერევიან?—ერევიან, ერევიან, ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს. შემდეგ ორატორი ახასიათებს ინგლისის გენერლების პოლიტიკას ამიერ კავკასიაში და კერძოთ ბათუმში და ამბობს, რომ ამ გენერლების პოლიტიკა არ შეესაბამება ინგლისის სწორედ გაგებულ ინტერესებს, მაგ. გენერალი კუკ-კოლისი ბათუმში აწარმოებს ინტრიგებს და მის გუბერნატორობის დროს ბათუმი გა-

[illegible] თავისი [illegible] სწრაფად [illegible]. ბათუმი გადაიქცევა [illegible]; [illegible] ჯარებს [illegible] 5 [illegible] ქალაქი [illegible]. ბათუმს [illegible] ხელი და სამეურნეო [illegible] საქართველოს სასარგებლოდ [illegible] სწრაფად [illegible] მომენტი [illegible] ბათუმის მთავრობამ ხელი დაიბანა. თუ ამ მომენტით მთავრობამ არ ისარგებლა და ბათუმში დამკვიდრდა, ამის ხელახლა [illegible] ძნელი გზით ვერ აპატიებს. [illegible] ბათუმის შემოერთებელ [illegible].

თავმჯდომარის განცხადება

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღეს ისტორიული დღეა. ისტორიული დღეა არა მარტო დიდ-ქალაქ თბილისში, არამედ მთელს საქართველოში. თქვენ ხალხი [illegible] ხალხი, რომელიც მოუთმენლად [illegible] წინ და გამოუთქმელი დიდი [illegible], რომელმაც მე გამიწვია და მომცა შემდეგი რეზოლუციის [illegible]: (ტაში).

რეზოლუცია.

[illegible] და მოქალაქეების მრავალ რიცხოვანი [illegible], თავმჯდომარე ბათუმის ოლქში შექმნილი მდგომარეობის გამო [illegible], ერთხმად აცხადებს, რომ 1918 წ. 1 მაისს ოსმალეთის ჯარმა აიღო ქ. ბათუმი საქართველოს მხედრობასთან ბრძოლის შემდეგ და მით ხელში იგდო ბათუმის ოლქი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ბრესტის ზავის თანახმად ოსმალეთის იმპერიას გადასცა.

საქართველოს ხალხი მას შემდეგ, რაც ოსმალეთი მსოფლიო ომში დამარცხდა, მუდამ ფიქრობდა ბათუმის ოლქის შეერთებას, რომელიც ეთნოგრაფიულად, კულტურულად და ისტორიულად [illegible] საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ბათუმის ოლქის მცხოვრებლებმა თავის არჩეულ წარმომადგენელთა პირით, რომელთაც შექმნეს მეჯლისი, [illegible] აცხადეს, რომ სამაჰმადიანო საქართველოს შეურყეველი სურვილია [illegible] საქართველოსთან ავტონომიურ საფუძველზე გაერთიანება.

ქ. ბათუმის მცხოვრებლებმა საქალაქო არჩევნებში 29 თებერვალს 1920 წ. თუმცა ის [illegible] ქართველებისათვის მეტად არა ხელსაყრელ პირობებში, მკაფიოთ და კატეგორიულად გამოსთქვეს თავისი აზრი, რომ ბათუმი საქართველოა, ის ასეთი იყო ძველი რეჟიმის დროსაც და მოითხოვეს ბათუმის საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაცემა.

მიუხედავად ხალხის ნება სურვილისა, რომელიც [illegible] და თავისუფლების დიდ პრინციპს—ერთა თვითგამორკვევის უფლებას—ბათუმის საკითხი [illegible] მთავრობა განაგრძობს [illegible]—ქართველთა დევნას და მათი ინტერესების [illegible] ამ მიზნით ის წინ [illegible] ლენინის მომხრეებს, ამ [illegible] პანთურქისტებისა და ანარქისტულ - ბოლშევიკური ელემენტების [illegible].

ქ. ბათუმისაგან [illegible] სახელმწიფოს შექმნა მოასწავებს საქართველოს დემოკრატიის ინტერესების [illegible] და რესპუბლიკის [illegible] პოლიტიკური განვითარების [illegible]. ეს ბათუმის ოლქის მცხოვრებთა [illegible] გადაცემა იქნება, რომელნიც ახლა [illegible] ამიერ-კავკასიის [illegible] ყველაფერს.

ბათუმი უსაქართველოთ მკვდარია. [illegible] საქართველოს არსებობა [illegible] შეუძლებელია.

იცის რა ყველა ამას [illegible] მოითხოვს [illegible] კრებისა და მთავრობისაგან [illegible] ბათუმი და მისი ოლქის შემოერთებას, [illegible] წარმომადგენლობისაგან [illegible] საქართველოს ინტერესების დაცვას.

მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მტკიცე [illegible] დამყარება საქართველოსა [illegible] სახელმწიფოებს შორის. (მხურვალე ტაში)

[illegible] ამ რეზოლუციას [illegible] დიდი ტაშით [illegible] იმას, თუ რას [illegible] ბათუმის შესახებ საქართველოს ხალხის [illegible] ორგანოები [illegible], რომ [illegible].

[illegible] სიტყვა.

მოქალაქენო! სრულიად კანონიერი [illegible] რიგით ის [illegible] და ინტერესი, რომელსაც ჩვენი [illegible] მთელი ხალხი იჩენს ბათუმის საკითხის [illegible], თუ ჩვენ [illegible], რომ [illegible] ჩვენი [illegible].

[illegible] ამ [illegible] მნიშვნელობა [illegible] განსაკუთრებული [illegible] ყურადღების ღირსი [illegible] მას.

თუ ვიტყვი სიმართლეს, მთელი ჩვენი მუშაობის, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცება და აყვავება, თავის თავად ცხადია მთავრობას არ შეეძლო და არ შეეძლო მთელის თავის ენერგიით და ძალ-ღონით არ დაეცვა ის, რაც შეადგენს აუცილებელ პირობას ჩვენი არსებობისა და წინსვლისა.

საქართველო უბათუმოთ და ბათუმი უსაქართველოდ ეს [illegible] და გამასხრებაა სახელმწიფოებრივი იდეის და ერთა თვით გამორკვევის პრინციპისა. ვინც მოისურვებს ამ სიტუაციის მკაფიო გარჩევას, მას მიუთითებთ ანგარიში გაუწიოს სინამდვილეს და რეალურ ფაქტებს, რაც გვიჩვენა სინამდვილემ. ორი წლის წინეთ ძლიერმა გარეშე ძალამ მოგლიჯა ბათუმი და მისი ოლქი, ეს განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, თავის დედა სამშობლოს და ორივე ნაწილმა და მთელმა ერთანეთის სიმწვავით იგრძნო დამოუკიდებელი შედეგები [illegible] მოკლებული [illegible] საქართველოს სხეული [illegible]; ბათუმი კი ეს ბრწყინვალე და სიცოცხლით სავსე ქალაქი დაეცა, დაძაბუნდა და [illegible] ოსმალეთის ოკუპაციის საკმარისი შეიქნა, რომ ბათუმს დაებრუნებინა ის სახე, რომელიც მას ქონდა წარსულში, როდესაც ის მოწყვეტილი საქართველოს ოსმალეთის პროვინციას წარმოადგენდა.

მრავალს იმათგანს, ვისაც აშკარად ვერ [illegible] წინებია, თუ რაში იყო მიზეზი ბათუმის [illegible], ეგონა, რომ ეს აიხსნებოდა ბათუმის მაშინდელ ბატონ პატრონთა უვარგისობით, მათი უნიჭობით ამ ძვირფას კუთხის ადმინისტრატიულად და მოქალაქეობრივად მოწყობის საქმეში.

ოსმალეთის ოკუპაცია ანტანტის ოკუპაციამ შესცვალა. ქალაქს და ოლქს სათავეში მოექცა ინგლისის სამხედრო სარდლობა, მაგრამ, თქვენ ყველამ იცით, მოქალაქენო და ეს უკვე არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება; საშინელი სასურსათო კრიზისი, ზღაპრულად ცხოვრების გაძვირება, ადგილი წესრიგ და სპეკულიანტთა [illegible] ადმინისტრატიული აპარატის სრული დაცემა, აი რა ახასიათებს ბათუმის და მისი ოლქის დღევანდელ ვითარებას.

მერე რად მოხდა ეს?

რად მოხდა ის, რომ ბათუმი შეიქმნა ბაზად, სადაც თავს იყრის რეტნიკების და სხვა ანარქიულ ელემენტების სახით, შეიარაღებული ბრძოლა საქართველოს და მთელ ამიერ კავკასიის წინააღმდეგ? განა შეუძლია ვინმეს იფიქროს, რომ დღევანდელ მსოფლიოს მბრძანებელს არ შესწევს ძალა და ნიჭი გაუძღვეს და თავი გაართვას ისეთ პაწაწინა ქვეყანას, როგორიც ბათუმის ოლქია? ასეთი კითხვის დასმაც შეუძლებელია. მხოლოდ საჭიროა ხაზი გაესვას და აღვნიშნოთ, რომ დიდი ბრიტანეთიც ვერ შესძლებს შეუძლებელს. ისიც უნდა დაემორჩილოს ბუნების კანონებს. და როდესაც წინააღმდეგ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიური კანონებისა, მან მოაცილა ნაწილი მთელისაგან [illegible], ბუნებამ თავისი მოითხოვა და ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთმა განზრახვამ მიგვიყვანა იმ კატასტროფამდე, რომლის წინაშე დგას არა მარტო ბათუმის მხარე, საქართველო და ამიერ კავკასია, არამედ თვით ინგლისის პოლიტიკა მცირე აზიაში.

მოქალაქენო, მე მოგახსენეთ თუ რა მნიშვნელობას ვაძლევთ ბათუმის საკითხს საერთო მდგომარეობაში. ამიტომაც, როგორც კი [illegible] ანტანტამ ჩვენში, მათ წარმომადგენელთა, რომელშიაც მოვითხოვეთ [illegible] status quo ante [illegible], სწორედ ბათუმის [illegible]. საქართველო არ დაემორჩილა ბრესტის ხელშეკრულებას; მან [illegible] საქართველოს [illegible], რომელმაც მთელი [illegible] და მთელ ხალხს [illegible]; [illegible] ბათუმში [illegible]. [illegible] ქართველი ერი [illegible] და თავის [illegible]—ბათუმს და არა [illegible] მისი შვილები [illegible]. ქართველი ხალხი ამ ბრძოლაში [illegible], როგორც მოკავშირე ანტანტისა და ეს უკანასკნელი [illegible] ბრესტის ხელშეკრულებისა. ამას მოითხოვს სამართლიანობა და თვით [illegible] მოკავშირე სახელმწიფოებისა.

ჩვენ კარგათ ვიცით, მოქალაქენო, [illegible] მიმართ [illegible] ანგარიშების [illegible]. ეს არის ერთად ერთი [illegible], რომელშიაც შეხვდება [illegible] და სახელმწიფოთა ურთიერთობა და სწორედ ამ [illegible], აშკარად უნდა ვთქვათ [illegible], რომ სწორედ [illegible] ინტერესები ანტანტისა და განსაკუთრებით ინგლისისა მოითხოვდა და მოითხოვს დღესაც ჩვენს გართულებულ პირობებში, ბათუმის და სხვა საშინაო-საერთაშორისო საკითხების [illegible] გადაწყვეტას, რომ გაძლიერდეს და განმტკიცდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი და სამხედრო ორგანიზაცია. შეიძლება ბევრ მნიშვნელოვან მომენტებში ჩვენ შორის ბუნებრივად აზრთა და ინტერესთა სხვადასხვაობა, შესაძლოა შემთხვევით მოხდა, ამას ჰქონდა ადგილი ახლო წარსულში, ალბათ ექნება მომავალში, მაგრამ ამავე დროს მიუდგომელი ანალიზი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის და პერსპექტივების იძლევიან [illegible] საბუთს ვიფიქროთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, მისი რეალურ ფაქტორად გახდომა ამას მოითხოვდა და მოითხოვს სასიცოცხლო ინტერესები მოკავშირეებისა.

12 იანვრის ისტორიულმა აქტმა თითქოს მოგვცა ჩვენ საშუალება გვეფიქრა, რომ მოკავშირეთა კონფერენცია დაადგა იმ გზას, რომ მან სავსებით იგრძნო და შეითვისა [illegible] შეხედულებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაიდგა მხოლოდ ერთი ნაბიჯი. მას თან უნდა მოყოლოდა მთელი რიგი სხვა ნაბიჯებისა და თავდაპირველად ბათუმის საკითხის სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა, მაგრამ აქ ჩვენ ვხედავთ სულ წინააღმდეგს.

მოქალაქენო, სწორედ ამ ნიადაგზე იყო დაყენებული მთავრობის მუშაობა საერთოდ და კერძოდ ბათუმის შესახებ. ასე ვმუშაობდით აქ, ასეთივე დირექტივები ჰქონდა ჩვენს დელეგაციას ევროპაში. დარწმუნებით შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ მთავრობას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა გაეშუქებინა ბათუმის საკითხი ანტანტის ყველა ავტორიტეტულ წარმომადგენლის წინაშე და ამის მოწმენი არიან ბევრი გავლენიანი წრეები თვით [illegible]. [illegible] ამ მხრივ საქართველოს მთავრობამ შეასრულა თავისი ვალი მოკავშირეთა წინაშე, მან მისცა მათ სრული ინფორმაცია, მან დააყენა საკითხი სწორ და სამართლიან ნიადაგზე, მან მიიღო ყველა ზომები აუცილებელი [illegible] შეცდომის [illegible] და თუ ამ კითხვის გადაჭრას არ მიეცა სასურველი მიმართულება, თუ ეს გამოიწვევს სამწუხარო გართულებას, თავისთავად ცხადია ბრალი საქართველოს მთავრობას არ დაედება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით ამ საკითხზე ჩვენ შეგვეძლო მიგვეწვდინა [illegible] თვით [illegible]. სახელმწ. მოღვაწეთათვის ევროპაში, მაგრამ [illegible] საქ. მთავრობამ ვერ შეასრულა [illegible] მიმართ. [illegible] ვერ [illegible] სრული [illegible] და [illegible] ამ საქმის მოგვარებას [illegible]? თქვენ იცით, [illegible] სამწუხარო [illegible].

[illegible] შემიძლია განვაცხადო, რომ საქ. მთავრობას არა ოდეს არ დაუმალავს თავისი აზრი და მისწრაფებანი ბათუმის შესახებ. [illegible] ჩვენი პარლამენტის ტრიბუნიდან, არა ერთხელ გაგვიცხადებია ის, რასაც [illegible] მხოლოდ [illegible]. [illegible], რომ თუმცა ბათუმი და მისი ოლქი შეადგენს განუყრელ ნაწილს საქართველოსა, მაგრამ ჩვენ კარგათ [illegible], თუ რა მნიშვნელობა აქვს [illegible] ბათუმის პორტს ამიერ კავკასიისათვის. ქართველი ერი არასოდეს არ მოისურვებს ბოროტად ისარგებლოს ბათუმით, ჩაკეტოს ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკები, არ მისცეს მათ გასავალი ზღვაზე და [illegible]; განა [illegible], რომ [illegible]? [illegible], რომ თუ [illegible] ჩვენი [illegible], [illegible]. [illegible]? [illegible], [illegible] ჩვენი [illegible].

[illegible] მით და საქართველოს მთავრობა თავის მხრივ მიიღებს ზომებს ბათუმის [illegible] საერთაშორისო საკითხი ამ ნიადაგზე [illegible] აზერბეიჯანის საგ. საქმეთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებული უკანასკნელი ცნობა ამის იმედს იძლევა.

ნება მიბოძეთ, მოქალაქენო, შეგატყობინოთ უკანასკნელი ამბები ბათუმში მომხდარ ამბებზე ამ ბოლო ხანებში. თებერვლის შუაში ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ინგლისელები აპირებენ ბათუმის და მისი ოლქის ევაკუაციას. რამოდენიმე დღის შემდეგ ამის მაჩვენებელი ნიშნებიც დავინახეთ; გაიგზავნა ბათუმიდან საგრძნობი ნაწილი მათი ჯარებისა და [illegible]; სამხედრო სამინისტრო [illegible] ბათუმის ინგლისელ სარდლობის წინადადებით შეუდგა [illegible] ჯარების. მთავრობამ გადასწყვიტა დაეკავებინა ქალაქი და ოლქი, როგორც კი ინგლისელები ევაკუაციას მოახდენდნენ; მაგრამ ჩვენ 22 თებერვალს უცხოეთიდან მივიღეთ ცნობები, რომ ინგლისელები რჩებიან და სანამ მათი ოკუპაცია გრძელდება ვერც ჩვენ ჯარებს არ მისცემენ უფლებას ბათუმის საზღვრების გადალახვისა. ასეთივე მოთხოვნა კიდევ უფრო მკაცრად განმეორდა 29-ს და პირველ მარტს. 29-სვე ჩვენ მივიღეთ პირველი ცნობა, რომ უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ბათუმის ოკუპაცია დროებით გაგრძელდეს ფაქტიურ ოკუპანტებით სამი დიდი სახელმწიფო [illegible] თავის ოლქზე, როგორც იცით, სიტყვა არ არის ნათქვამი. მთავრობამ გადასწყვიტა შესულიყო ოლქში და შესაფერი ბრძანებაც გაეცა, მაგრამ ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა მისტერ უორდროპმა განაცხადა, რომ ასეთ ნაბიჯს იგი თვლის მტრულ ნაბიჯათ. ეს უდრის casus bellis ინგლისთან და იგი იძულებულია შეწყვიტოს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაემგზავროს თბილისიდან. მოქალაქენო, მე უკვე მოგახსენეთ, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობდა და ცდილობს ეს საკითხი მოგვარებულ იყოს მშვიდობიანი გზით, შეთანხმებით და რადგანაც ბრიტანეთის წარმომადგენელი იმედს იძლეოდა ამ საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მთავრობამ შექმნილ მდგომარეობას ანგარიში გაუწია და ჯარის წინსვლა დროებით შეაჩერა. ჩვენი ჯარები მიდიოდა სამი მიმართულებით: ნატანების, ახალციხე-ხულო და არტაანი-შავშეთ-არდანუჩი. ნატანების ჯგუფმა თავის დროზე მიიღო ბრძანება, ორი დანარჩენ მიმართულებით კი [illegible] კავშირის უქონლობის გამო ჯარმა მიიღო ბრძანება მაშინ, როდესაც საქართველოს ჯარებს არდანუჩი და ხულო დაკავებული ქონდა. 11 მარტს, ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

1 ბათუმის ოლქში ნატანების, ახალციხის და არტაანის მხრით აშკარად სწარმოებს შეტევა საქართველოს ჯარისა.

2. ამ ცნობების თანახმად უკანასკნელი [illegible] სამხედრო ძალებმა გადალახეს [illegible] საზღვარი. არტაანის რაზმმა უკვე გადააყენა შავშეთში ადგილობრივი ადმინისტრაცია და მის ადგილზე თავისი დანიშნა. ამას გარდა სამასი ქართველი ჯარისკაცი შევიდა ქალ. არდანუჯში. ნატანების რაზმი მზვერავებს უშვებს საზღვარზე.

3. ვინაიდან მე მაქვს მიღებული კატეგორიული ბრძანება მთავარსარდლის გენერალ სერ ჯორჯ მილნისაგან, რომ არავითარ სამხედრო ძალას არ მიეცეს საზღვარის გადალახვის საშუალება, და საქართველოს ჯარი კი ნებადაურთველად გადმოვიდა ბრიტანეთის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, გთხოვთ მიიღოთ დაუყოვნებლივ ზომები გაყვანა საქართველოს ჯარის ყველა ნაწილების, რომელნიც ამჟამად ბათუმის ოლქის ფარგლებში იმყოფებიან.

4. თუ არავითარი ამგვარი ბრძანება არ იქნა გაცემული, ამისათვის საჭირო დროის განმავლობაში, მე ვიღებ უფლებას მივიღო ისეთი ზომები, როგორსაც საჭიროდ ვცნობ, რომ საშუალება მქონდეს მთავარსარდლის განკარგულება სისრულეში მოვიყვანო.

მე ძალიან მადლობელი ვიქნები თუ პასუხი გამომეგზავნება [illegible] საშუალებით.

მიიღეთ და სხვა...

ქუკ კოლისი

ბრიგადის გენერალი—სამხედრო გუბერნატორი

ბათუმი, 9 მარტი, 1920 წ.

ჩვენ აგვიხსენით, თუ როგორი იყო ყოველივე ეს, ისინიც დაკმაყოფილდნენ და რაც შეეხება ჯარის უკან დაბრუნებაზე, ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ. 14 მარტის შეთანხმება. ჩვენი ჯარები რჩებიან, როგორც მოკავშირე ძალა და დროებით სანამ ჩვენ მივიღებთ ევროპიდან ცნობებს ჩვენი ჯარები იქნებიან მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობის ქვეშ.

14 მარტის დოკუმენტი ორმხრივი შეთანხმებაა. იგი ჩვენ გვავალებს დაუყოვნებლივ საერთო სარდლობას, მაგრამ კი გვაძლევს ჩვენ უფლებას მო[illegible]ვითხოვოთ ფაქტიური გარანტია, რომ ჩვენ ვისარგებლებთ ყველა უფლებით მოკავშირისა, თანასწორუფლებიანი მოპყრობით; მაგრამ თქვენ იცით, მოქალაქენო, გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან, რომ ეს სამწუხაროდ ასე არ ხდება ჩვენ. გვაქვს ცნობები, რომ იქ გაძლიერდა აგიტაცია საქართველოს და მისი ჯარების წინააღმდეგ, განზრახულია ხელოვნურად შექმნან საზოგადოებრივი აზრი, მოიწვიონ რაღაც კრება, მოათხოვნინონ ჩვენი ჯარების უკან გაწვევა. მაშინ როდესაც მე შემიძლია განვაცხადო თქვენ წინაშე, რომ ჩვენი ჯარები მიიღო მცხოვრებლებმა აღტაცებით, პურ მარილით, არათუ [illegible] ადგილი არ ქონია და გუშინდელი ცნობით მთელი აჭარა და შავშეთი მოითხოვს საქართველოსთან შეერთებას. ასეთია ნამდვილი განწყობილება ჩვენდამი და სულის კვეთება ადგილობრივ მკვიდრთა. ჩვენ გვაქვს მეჯლისი, ჩვენ გვაქვს ბათუმის არჩევნები. ხალხის ნებას უთუოდ ახეთია და ჩვენ მხოლოდ ამას შეგვიძლია ანგარიში გაუწიოთ. პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობები შესახებ უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებისა. თქვენ იცით, რომ აქ 4 ვერსიაა: 1) დროებით ოკუპაცია ბათუმის (მ. უორდროპი) 5 მარტს მიღებული რეზოლუციისაგან ოკუპაცია დროებითი—ის მაღლივით და რუსეთის საკითხების გადაწყვეტამდე. 9 მარტს გაზასი. პორტო-ფრანკო პატარა ნეიტრალური ზონით. 16 მარტს საფრანგეთის—დამოუკიდებელი სახელმწიფო. ყველა ამ ცნობებზე ერთი რამ შეიძლება ითქვას: si non e vero, e ben trovato. მთელი ის მუშაობა, რომელიც ბათუმის და მის ოლქში სწარმოებს, ეს არის ცდა, ნიადაგი და საფუძველი მისცენ იმ პატარა სახელმწიფოს, რომელზედაც საფრანგეთის მისიის ცნობა ლაპარაკობს და რომელსაც სხვადასხვა აგენტები და მოქირავებული აჭარისტანს ეძახიან.

სწორედ ამნაირ მდგომარეობაზე იტყვიან: შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა გიხაროდეს.

[illegible] ძალა და მილიონები ასეთ [illegible] პროტესტს ხომ ვერ შეასხამს. განა არ იციან, რომ საკმარისია საქართველომ დაკეტოს თავის საზღვრები, აჭარისტანის სახელმწიფო-დან მხოლოდ უსიამოვნო მოგონება დარჩება. შესაძლოა ამას თან მოჰყვეს საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია და ვინ იცის როგორ დაშავდებიან ისინიც, ვინც ბედავს ეს ბოროტი საქმე ინგლისის სახელით აკეთოს. მერე რა დროს ხდება, მოქალაქენო, ყოველივე ეს? ნოვოროსიისკის საზღვარზე კარზე მომდგარი, შავი ღრუბლები მოგროვილია ჰორიზონტზე და ჩვენ კი ჩვენ ძალას და ენერგიას ამაში ვხარჯავთ. ეს დიდი ისტორიული დანაშაულია საერთო საქმის წინაშე და გულდამშვიდებით შემიძლია განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ საქართველოს მთავრობას ყოველივე ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი ედება. საქართველოს მთავრობა ვერ შეურიგდება შექმნილ მდგომარეობას, ის თამამად განაგრძობს თავის მუშაობას, ის მიიღებს ყოველ ღონეს დაუბრუნდეს თავისი ორგანიული ნაწილი თავის სხეულს, აღადგინოს მთლიანობა ცოცხალი ორგანიზმისა, რათა ნორმალური ფუნქციები დაიწყოს ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანოებმა. შეეცდება გადალახოს ყველა დაბრკოლებები, ახსოვს რა, რომ ამ შემთხვევაში იგი აკეთებს მთელი ამიერ-კავკასიის საქმეს და ემსახურება კაცობრიობის უმაღლეს იდეალებს. (ტაში)

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს შემდეგ დეპეშებს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.

გასული წლის 31 აგვისტოს მთელი ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ქ. ბათუმში / ინგლისის ადგილობრივ სარდლობის ნებართვით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყრელი და განუყოფელი ნაწილია საქართველოსი და მოითხოვა, რომ ხელოვნურად საქართველოსაგან მოწყვეტილი ოლქი ავტონომიურათ გაერთიანებულ იქნას დედა სამშობლო საქართველოსთან. ყრილობამ აირჩია მეჯლისის წევრნი, რომელთაც დაავალა ამ ყრილობის ხსენებულ დადგენილების სისრულეში მოყვანა. ეს გადაწყვეტილება ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველებისა, რომლებიც 95 პროც. შეადგენენ ოლქის მცხოვრებლებისას, მეჯლისმა სპეციალური დელეგაციის საშუალებით აცნობა როგორც საქართველოს დემ. რესპუბლიკის მთავრობას და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში მისტერ უორდროპს, ისე სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებსაც. ამის შემდეგაც ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანებს არა ერთხელ და ორჯერ გამოუთქვამთ თავისი ნება ოლქისა და ქ. ბათუმის საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ.

მიუხედავად ოლქის მცხოვრებთა ასეთი ნება-სურვილისა, [illegible] უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილების, რომ ქალაქ ბათუმისგან [illegible] გამოიყოს „პატარა სახელმწიფო“. უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის ნება სურვილს, სასიკვდილო ლახვარს სცემს, როგორც ჩვენს ოლქს, ისე დედა-სამშობლო საქართველოს, რომლის განუყოფელი და განუყრელი ნაწილია ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი.

ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის სახელით ვაცხადებთ რა უძლიერეს პროტესტს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილების შესახებ, ვთხოვთ ჩვენ ძმებს—ქართველ ქრისტიანებს, საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, არ დაუშვან ასეთი უბედური მდგომარეობა, რაც თავს დაატყდება ქართველ მუსლიმანებს უმაღლეს საბჭოს დადგენილებით; მოუწოდონ და დაეხმარონ ამ უბედურების თავიდან ასაცილებლათ, მიიღონ ყოველივე ღონისძიება, რათა ბათუმი და მისი ოლქი ავტონომიურათ გაერთიანდეს დედა - სამშობლო საქართველოსთან.

ჩვენ კი ქართველი მუსლიმანები, მთელ ქართველ ერთან ერთად, თითო ოროლა ჩვენთა მტრების მიერ მოსყიდულ პირთა გამოკლებით, ვფიცავთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ უმაღლეს საბჭოს დადგენილებით დარღვეულ ჩვენ უფლებებს.

ბათუმი და ბათუმის ოლქი, რაც უნდა გახდეს, რა დიდი მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დაგვჭირდეს ამისათვის, ავტონომიურათ უნდა შეუერთდეს დედა-სამშობლო საქართველოს. უამისოთ წარმოუდგენელია საქართველოს დამოუკიდებლობა, უამისოთ შეუძლებელია ჩვენი ხალხის ნორმალური განვითარება.

ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე. (მხურვალე ტაში).

საქართველოს დემოკრატ. რესპ. თავმჯდომარეს.

თბილისი, დიდ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს მისტერ ოლივერ უორდროპს ასლები საფრანგეთის და იტალიის მისიების თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და დამფუძნებელ კრებას.

ბათუმის ოლქის შეერთებულ მუსულმანთა საბჭოს სახელით ვაცნობებთ თქვენს აღმატებულებას, რომ თუ დღემდის ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით დედა-საქართველოსთან შეერთების, ეს იყო შეუთანხმებლობა ზოგიერთი საკითხებში საქართველოს მთავრობასთან. ჩვენს შორის მოხდა სრული შეთანხმება და მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ შეუერთდეს ჩვენი კუთხე დედა საქართველოს როგორც ქალაქი ბათუმი აგრეთვე მთელი ოლქი ავტონომიურად. როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსა დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და მით აცდება სისხლის ღვრა, რომელსაც აწყობენ საქართველოს მტრები. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აშკარათ აზერბეიჯანის აგენტები აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე, საქართველოს ჯარს გულის აღფრთოვანებით და სიყვარულით ჩვენი ხალხი რათა დაიცვან ძველი საქართველო.

შეერთებულ მუსულმანების საბჭოს თავმჯდომარე ადი [illegible]. (ტაში).

დამფუძნებელ კრებას.

მიუხედავად ინგლისელ ოფიცრების ინტრიგებისა, რომ აუჯანყებიათ ზემო აჭარის მცხოვრებლები ჩვენ ჯარის წინააღმდეგ, მიუხედავად სანგრების გაკეთებისა, ფულის გარიგებისა და სხვა, დემონსტრაციებისა, საქართველოს ჯარის შესვლას ხულოში მცხოვრებლები პურ მარილით შეეგებნენ, რასაც აღტაცებით გილოცავთ:

ჩვენ დარწმუნებული ვართ არავითარი ინტრიგები არ შეარყევენ აჭარის ხალხის სიხარულს, მშობლიურ საქართველოსთან შეერთებით გამოწვეულს:

ჯემალ ფაშა ხიმშიაშვილი (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს აკაკი ჩხენკელმა, ([illegible]: ლ. შენგელაიამ, გ. [illegible], გ. ქიქოძემ, გრ. ვეშაპელმა, ს. მდივანმა, [illegible] და გრ. გიორგაძემ). ყველა ორატორი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს უბათუმოდ არ შეუძლია არსებობა, ბათუმი დაკარგული არ არის, ის მხოლოდ დროებით ჩამოგლეჯილია დედა საქართველოსაგან და ისევ უნდა დაუბრუნდეს მას; ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული, ეკონომიური, ბუნებრივი და ყოველგვარი უფლება აშკარად ლაპარაკობს იმას, რომ საქართველოს უნდა შეუერთდეს ბათუმი და მისი ოლქი ავტონომიური საფუძვლებზე.

ჩხენკელმა დაამტკიცა ფაქტებით,

რომ ბათუმის საკითხის ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გადაჭრა არ შეესაბამება ინგლისის სწორად გაგებულ ინტერესებს, პირიქით, ინგლისის ინტერესები მოითხოვს, რომ ბათუმი საქართველოს გადაეცეს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები განმტკიცდენ და სხვ. ორატორები მოუწოდებენ აგრეთვე მთავრობას ჩრდილოეთის საფრთხისაკენ. მოითხოვდენ ბათუმის და მისი ოლქის შემოერთებისათვის ენერგიული ნაბიჯების გადადგმას და სხვ.

ე. გეგეჭკორის, ა. ჩხენკელის და გრ. გიორგაძის სიტყვების შემდეგ [illegible].

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია.

დამფუძნებელი კრების რეზოლუცია.

მოისმინა რა სოც.-დემ. ფრაქციის შეკითხვა და ამ შეკითხვის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება მოკავშირეთა მიერ ქ. ბათუმის პორტო-ფრანკოთ გამოცხადების და ბათუმის ოლქში დამოუკიდებელ ზონის შექმნის შესახებ, დამფუძნებელი კრება საჭიროდ აცხადებს:

საქართველო მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო შავი ზღვის პირათ ევროპასა და აზიის შუა უხსოვარ დროიდან შეიქნა ევროპისათვის იმ კარათ, რომლითაც აზიას უნდა მოეფინოს ევროპიული კულტურის და ცივილიზაციის შუქი.

საქართველოც პირნათლათ ასრულებდა ამ ისტორიულ მისიას და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ის თავის საკუთარის შვილთა სისხლით იცავდა თავისუფლებას და ევროპიულ კულტურას აზიურ ბარბაროსობისაგან.

თავის არსებობისათვის ბრძოლით საქართველო იმავე დროს აჩერებდა აზიიდან ევროპისაკენ მიმავალ ველურ ურდოებს, რითაც ის ევროპის თავდაცვას და თავისუფალ კულტურულ ცხოვრების საქმეს ემსახურებოდა.

მძიმე იყო ეს მდგომარეობა და საქართველოს არა ერთი და ორი ბარბაროსული შემოსევა განუცდია, არა ერთხელ აოხრებულა მისი ქალაქები და ხალხის წმინდათა-წმინდა არა ერთხელ შებღალულა.

მიუხედავათ ამისა, საქართველომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შესძლო თავის კულტურული სახის შენარჩუნება.

მაგრამ მეთხუთმეტე საუკუნეში მომხდარმა უბედურებამ საქართველოც გასტეხა წელში: სელჯუკების მიერ ბიზანტიის დაპყრობამ გააძლიერა აზია და ოსმალეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში უკვე შესძლო საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულის დასახიჩრება: მან მოჰგლიჯა საქართველოს მისი საუკეთესო ნაწილი სამხრეთ დასავლეთიდან ახალციხე და არტაან-ბათუმი, რომელიც გზა და ხიდი იყო დასავლეთ საქართველოსთვის ევროპასთან ურთიერთობაში.

რაკი დასავლეთის მხრიდან საქართველო მოსწყდა ევროპას ამ უკანასკნელთან კავშირის გასაბმელათ საქართველო მეთვრამეტე საუკუნის გასულს თავის ნებით შეუკავშირდა რუსეთს, რომელმაც მას მფარველობა აღუთქვა. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობამ ცბიერი პოლიტიკით უმუხთლა საქართველოს კეთილ ნებით შეთანხმებას და სრულიად მოსპო დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ამგვარად, დანაწილებული ის იმედს მაინც არ კარგავდა და მიუხედავათ პოლიტიკური მონობისა, მან შეინარჩუნა ეროვნული კულტურა და პოლიტიკური თვითცნობიერება. და როცა საშინელი რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გაჰყიდა საქართველოს ხალხის სუვერენული უფლებები, როცა არტაან-ბათუმი ოსმალეთს გადაეცა, ქართველი ხალხი ერთსულოვნათ აღსდგა იმ ისტორიული თვითნებობის წინააღმდეგ და ბათუმის კარებთან მან საუკეთესო შვილთა სისხლი დაღვარა. მართალია, ბოლშევიკური ანარქიით დაუძლურებულმა საქართველომ მაშინ დაკარგა ბათუმი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ უხეში ძალმომრეობის აქტი, სულიერად კი ბათუმი დღეს საქართველოსთან იყო და მასთან ერთად ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი. მიუხედავათ ოსმალეთის ასეული წლის ბატონობისა, მიუხედავათ ოკუპაციისა ჯერ ოსმალეთის, ხოლო შემდეგში მოკავშირეთა ჯარების მიერ და ოსმალეთის ჩეტნიკების თავგამოდებულ თარეშისა, ბათუმის მხარეს ხელი არ აუღია დედა საქართველოზე. ჯერ შარშან აგვისტოში მედგრათ გაისმა მრავალ ტანჯულ აჭარის ხმა, რომელიც საქართველოსთან დაბრუნებას ითხოვდა. ასეთივე ხმა განსაკუთრებით ისმის [illegible] არჩევნების დროს ქ. ბათუმში: ბათუმის მცხოვრებლებმა საქართველოს აჩვენეს საქალაქო არჩევნებში, რომ ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და თუ ეს მოხდა უცხო ჯარების ოკუპაციის დროს, მაშინ როცა ბათუმის ქართველი მცხოვრებლები [illegible], ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო ბათუმის მცხოვრებთა ნება სრულიად, რომ ეს უკანასკნელს თავისუფლად გამოეთქვა.

ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სურვილი ამ ოლქის საქართველოსთვის დაბრუნებისა არ არის შემთხვევითი მოვლენა: ბათუმის ოლქი შეკავშირებულია ძველათ ჩვენ საქართველოსთან თავისი ისტორიით კულტურით და ძმური ერთობით: მიუხედავათ ისტორიულ ბედის უკუღმართობისა, ბათუმის ოლქში ქართველობა დღესაც მცხოვრებლების 95 პროცენტს შეადგენს. და ეს ხალხისთვის აუტანელია ის რეჟიმი, რომელიც დღეს იქ ბატონობს და რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს ადგილობრივ მცხოვრებლების ზნე-ჩვეულებასთან და ყოფა-ცხოვრებასთან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბათუმის ოლქში დღემდის [illegible] ანარქია მეფობს, ძარცვა-გლეჯას და მკვლელობას ძლიერი ფესვები გაუდგამს ამ მხარეში და რაც მთავარი არაჩვეულებრივი და უცხო იყო საქართველოსთვის ბათუმში არა ერთისა და ორის დარბევისა და პოგრომს ქონდა ადგილი ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, ბათუმის მხარე მოწყვეტილი დედა საქართველოს ეკონომიურათ საშინელ სასურსათო კრიზისს განიცდის, რაც კიდევ უფრო აორკეცებს მცხოვრებთა ბუნებრივ მდგომარეობას. საქართველოს და მის ორგანიულ ნაწილს ბათუმს, მიუხედავათ ზემოთ აღნიშნულ უსამართლობისა და გაჭირვებისა ერთხელაც არ დაუკარგავს წინასწორობა, რადგანაც მოკავშირეთაგან მოელოდენ გამოსარჩლებას და საერთო ინტერესების პატივისცემას.

საქართველოს ხალხის ეს კანონიერი მოლოდინი ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა. მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც ყურადსაღებია მოკავშირეთათვის. როგორც ძველად ებრძოდა საქართველო აღმოსავლეთის ბარბაროსებს, ისე დღეს იბრძვის ის ბოლშევიკურ ანარქიის წინააღმდეგ იმ ანარქიისა, რომელიც ოსმალეთის [illegible] უწევს ხელს და ამ გზით ჰპირდება განთავისუფლებას აზიის ხალხებს. და დამფუძნებელი კრება ფიქრობს, რომ კავკასიაში მშვიდობიანობის დასაცველათ საჭიროა, რომ საქართველოს არ ჰქონდეს წართმეული საშუალება დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. ხოლო უბათუმოთ მას ეს არ შეუძლია. საქართველოს უნდა შერჩეს მისი ბუნებრივი ნაწილი—ბათუმი, რომ მან ამ გზით შესძლოს ევროპასთან კულტურული ურთიერთობის დამყარება. დამფუძნებელ კრებას არ შეუძლიან დაიჯეროს, რომ ის მოკავშირე ერი, რომელიც ბათუმის ოლქში [illegible], შელახავს საქართველოს უფლებებს, იმავე დროს ძირს უთხრის ევროპის ინტერესებს და ხელს უწყობს ამიერ კავკასიაში აღმოსავლეთის ბარბაროსობის დამკვიდრებას.

დამფუძნებელი კრება მიესალმება დიდ-საქართველოს სახელით მის განუყოფელ და ავტონომიურ ნაწილს სამუსლიმანო საქართველოს სალამს უძღვნის ბათუმის ოლქში მდგომ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, მთელს ჯარს და სახალხო გვარდიას და აცხადებს: 1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა წინაშე, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. 2 დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნების საქმეში.

მიტინგები და მანიფესტაც. ბათუმის შესახებ

ბათუმის საკითხის ისე გადაჭრამ როგორც ეს მოხდა, ყველა აღელვა და აღაშფოთა. და ეს ყველაზე უწინ, როგორც მოსალოდნელი იყოს, იგრძნო რევოლუციის ავანგარდმა თფილისის პროლეტარიატმა.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოწოდებით შაბათს 12 ს. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებების მუშები პირდაპირ სამუშაოებიდან მოვიდნენ და მუშათა სასახლის წინ ჩამწკრივდნენ დროშებით და პლაკატებით შემდეგი წარწერებით სხვადასხვა ენებზე (ინგლისურზე, ფრანგულზე, რუსულზე, ქართულზე და სხ.)

1) „ბათუმი საქართველოს კარია ევროპისაკენ, მოვითხოვთ ბათუმის საქართველოსთან შემოერთებას“. 2) „უცხოელთა ბატონობა ბათუმს სამარეს უთხრის. ბათუმი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს“, 3) „ბათუმი—საქართველოა“, 4) „ბათუმის მცხოვრებნი საქართველოსთან შემოერთებისთვის იბრძვიან“, 5) „ჩვენსას ნუ გვართმევთ, სხვისი არ გვინდა“, 6) „ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბათუმი იყოს შემოერთებული მის დედასთან—საქართველოსთან“, 7) „ბათუმი რევოლუციის აკვანია“, 8) „საქართველო და აჭარა განუყოფელია“, 9) „ბათუმს არავის დავუთმობთ“, 10) „გაუმარჯოს განუყოფელს საქართველოს და ბათუმის ოლქს“, 11) „ბათუმი ჩვენია“ და სხ. მრავალი ასეთი წარწერები.

მოვიდნენ: სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა, თფილისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოწაფეები, საქართველოს მუნიციპალურ მოსამსახურეთა ყრილობის წევრნი.

საუცხოვო სურათი იყო, როცა რკინის გზის, დეპოს, თამბაქოს ქარხნის მუშები სამუშაო ტანისამოსში დროშებით, მუსიკით გამოვიდნენ რუსთაველის პროსპექტზე, რამდენიმე ათასი კაცი. ამ დროს დამფუძნებელი კრების წინ შემდგარი იყო დიდი მიტინგი.

ფრიად ბევრი შავი დროშა. წარწერით: საქართველოს მტრებს! აქ ს. ფედ. პარტიის სახელით რამდენიმე ორატორი ილაპარაკა, ყველა ერთ მწუხარებას მოეცვა—ბათუმის საკითხს, მაგრამ არავის სახეზე არ იხატებოდა უიმედობა.

ხალხში ფრიალებდნენ პლაკატები დემონსტრაციები, სადაც აწერილი იყო ბათუმის საკითხის უსამართლოთ გადაჭრა.

შაბათს 12 საათზე პირველ მიტინგს ხსნის პროფეს. კავშირთა სახელით მუშათა სასახლესთან ამხ. ო. [illegible]. პირველი სიტყვა ეკუთვნის პროფ. კავ. საბჭოს წარმომადგენელს ამხ. ხელაძეს. ამხანაგებო! ამბობს ის, დღეს აქ მოხდა [illegible] თფილისის წითელი პროლეტარიატი წითელი დროშებით და მას მოთხოვნა აქვს დამფუძნებელ კრებასთან. ჩვენი მღელვარების მიზეზია—ბათუმისა და მისი ოლქის საკითხი. ბათუმი არის აკვანი საქართველოს რევოლუციისა, პირველად იქ აიმართა საქართველოს წითელი დროშა და ის შეადგენს ჩვენს პირველ ორგანიზაციას. ჩვენ გვართმევენ ევროპის იმპერიალისტები მას, მაგრამ თფილისის პროლეტარიატი მოითხოვს დამფუძნებელ კრებისაგან გადადგას ნაბიჯები და თუ საჭირო იქნება ფიზიკური ძალა, ჩვენ ამას მივცემთ მას.

მუშათა კლასი, რომელმაც სისხლში ამოისვარა თავისუფლების დროშა და რომელიც იბრძვის თავისი საბოლოო მიზნის, სოციალიზმისათვის, დამფუძნებელ კრებისაგან მოითხოვს, რომ მან დაიბრუნოს ბათუმი. ჩვენ მივდივართ დამფუძნებელ კრებასთან და ამას ჩვენ მოვითხოვთ იქ.

ამხ. [illegible] წ-ნ დიდ [illegible] იქნა დელეგაცია: ა. ხელაძე, ლ. კეპიაშვილი, ს. დოლიძე და ი. გიორგაძე, დელეგაცია მწყობრად წავიდა დამფუძნებელ კრებაში შეკითხვის წარსადგენათ.

ამის შემდეგ მიტინგი წავიდა დამფუძნებელი კრებისაკენ. დიდებული სურათი იყო. ყველა ამბობდა—ამოდენა ხალხი, ერთად შეკრებილი ამ ადგილას თფილისს არ ახსოვს. სასახლის ქუჩიდან მუშათა სასახლემდე ისე იყო გაჭედილი მთელი ქუჩა, რომ როგორც იტყვიან,—ნემსიც არ ჩავარდებოდა.

რამდენიმე ადგილას გამართა სხვა და სხვა პარტიების ტრიბუნა. სამხედრო საბჭოს ეზოში იყვნენ მოწაფე ქალ-ვაჟნი დიდი შესაფერი პლაკატებით ჩამწკრივებული იქ მოეწყო მოწაფეთა და მასწავლებელთა მიტინგი. აქ იყვნენ თფილისის ყველა სასწავლებლების მოწაფეები თავიანთი აღმზრდელ-მასწავლებლებით.

დამფუძნებელი კრების წინ 1 ს. მიტინგს გახსნილად აცხადებს ამხ. ო. [illegible]. ბათუმი და თავისუფლება—ამბობს ის, სინონიმებია საქართველოს დემოკრატიისა. როგორც თავისუფლება, ისე ბათუმი აუცილებელია საქართველოს დემოკრატიისათვის. თქვენ გახსოვთ, თუ როგორ გადასცეს ბრესტში ბათუმი ოსმალებს; იცით აგრეთვე ისიც, თუ როგორ გაძარცვეს ბათუმის მცხოვრებნი ოსმალთა მონებმა, იცით ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნილება დედა საქართველოსთან შემოერთების შესახებ, მაგრამ თქვენვე კარგათ იცით, თუ როგორი მისწრაფება აქვს სხვა და სხვა ქვეყნის იმპერიალისტებს. მათ სურთ ბათუმი გაიხადონ ბაზათ სპეკულაციისა. ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ იქ მოიყრიან თავს სხვა და სხვა ქვეყნის სპეკულიანტები და ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური უფლებები ფეხქვეშ გათელილი იქნება.

ამხ. [illegible] (რუსულ ენაზე). აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადებას ვერ მოითმენს თფილისის დემოკრატია. თუ საქართველო დღემდე ითმენდა ამას,—მას კიდევ არ ქონდა იმედი დაკარგული. ორატორი წინადადებით მიმართავს მიტინგს, აღიმაღლოს ხმა და სასტიკი პროტესტი გამოაცხადოს ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ.

დამფ. კრების სოც.-დემ. ფრაქციის ბიუროს წევრი გრ. გიორგაძე. ამხანაგებო! რა მოხდა, რას განიცდის დღეს ქართველი ერი და მის სათავეში მდგომი ქართველი დემოკრატია? რამ მოგიყვანათ აქ? (ხმები: ბათუმმა) დიახ, ბათუმმა შეგვკრიბა ჩვენ აქ, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ სურთ საქართველოს გამოსჭრან მთავარი ძარღვი, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერად აჩქარებს და მით მთელი ორგანიზმი სისხლისაგან დაცალონ (ხმები: ვერ შესძლებენ). მართალია, ვერ შესძლებენ და ამას ამტკიცებს დღევანდელი თქვენი გამოსვლა. თფილისის დემოკრატიის ხმის ამაღლება თავდებია იმისა, რომ ბათუმსა და მის ოლქს ვერავინ ჩამოაშორებს საქართველოს. ამხანაგებო! სად ჩაისახა ეროვნული გრძნობა თუ არა ბათუმში, რომელსაც საქართველო ყოველთვის იცავდა უცხოელთა შემოსევისაგან, იცავდა იმიტომ, რომ ეს არის მეორე აზიის ჭიშკარი და უცხოელთ სურთ ეს ჭიშკარი ხელში ჩაიგდონ და [illegible] აზიაზე იბატონონ, მაგრამ საქართველოს ეს არასოდეს არავისთვის დაუთმია და ეს თავდებია იმისი, რომ არც უნდა დაინებოს (ტაში)

მართალია, როდესაც ჩვენ არ გვყავდა ჯარი, და ბოლშევიკების წყალობით თურქებს ხელში ჩაუვარდით ის ოსმალებს გადასცეს, მაშინ ჩვენ ვერ შევძელით მისი დაცვა, მაგრამ დღეს იმდენათ განმტკიცებული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა არსებობს ჩვენში, რომ ჩვენს ფრაქციას ერთ წუთსაც იჭვი არ შეაქვს იმაში, რომ ჩვენი დემოკრატია არავის დაანებებს ბათუმს. ჩვენს ისტორიაში აღბეჭდილი არ უნდა იქნეს მეორე ბრესტის ხელშეკრულება. ბათუმს ჩვენთვის კიდევ იმითი აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ თფილისში არსებობს ნაძალადევი, სადაც პირველად ჩაისახა რევოლუციონური სული, ბათუმი არის აკვანი, სადაც ჩაისახა მთელი ამიერ კავკასიის რევოლუციონური მოძრაობა. თქვენ იცით [illegible], აკვანი რევოლუციონური დემოკრატიისა.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ბათუმში აღმართულია წითელი და არა იმპერიალისტური დროშები. იქ უნდა აფრიალდეს ჩვენი ეროვნული დროშაც და ამ მიზნის განსახორციელებლად უკანასკნელ საშუალებამდე იბრძოლებს დამფუძნებელი კრება და მისი სოც.-დემ. ფრაქცია. და ის მთავრობა, რომელიც წარმოიშვა დემოკრატიის წიაღიდან, და ავტორიტეტული დამფუძნებელი კრების ნდობით, იმავე გზას ადგია, რასაც სოც.-დემ. ფრაქცია. გაუმარჯოს ბათუმსა და მის ოლქში დემოკრატიის ბატონობას (საერთო ტაში)

ივ გომართელი. ამხანაგებო და მოქალაქენო! დღევანდელ დღეს მე მინდოდა თქვენთვის სასიხარულო ამბავი მომეტანა, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენს ქვეყანას გლოვის ზარი მოედო. ეს გამოიწვია ბათუმის ჩვენი სხეულიდან მოგლეჯამ და ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ ამას ვერავინ ვერ შესძლებს, ბათუმს ვერავინ წაგვართმევს ჩვენი ხალხი არ არის მონა, ის ვერ შეურიგდება მონობას და ვინც ეს განიზრახა, ის შეცდა, ნახტომი შეცდა. ბათუმის [illegible] არ არის ჩვენი უბრალო ქვიშა. როდესაც ჩვენმა ხალხმა ბრძოლა იწყო, პირველი სისხლი იქ დაიღვარა და ეს სისხლი ეძახის ჩვენ, რომ ის ადგილი, სადაც დაიღვარა ეს უმანკო სისხლი საქართველოს არ მოსწყდეს. ჩვენ გვინდა თავისუფლებით ვისარგებლოთ და თუ ბათუმი ჩვენი არ იქნა საქართველოს დემოკრატია მონა იქნება იმ ხალხის, რომელიც იქ იქნება გაბატონებული. ჩვენი ჯარი და გვარდია იმედს გვაძლევს, რომ ის უსამართლობა, რომელიც ჩაიდინეს იმპერიალისტებმა გამოსწორებული იქნება და ბათუმი ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება. გაუმარჯოს ჯარსა და გვარდიას (ტაში).

ამის შემდეგ ამხ. ივ ჩხენკელმა წაიკითხა რეზოლუცია. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად და დიდის ტაშით. რეზოლუცია წარედგინა დამფუძნებელ კრებას, რომელიც დაბეჭდილია დამფუძნებელ კრების დღევანდელ ანგარიშში.

ხალხი მოითხოვს მთავრობის განმარტებას.

სასახლის აივანზე გამოჩნდა მთავრობის წარმომადგენელი რ. არსენიძე, ხალხი მას ტაშის ცემით შეეგება. ამხანაგებო და მოქალაქენო, მიმართავს ის მიტინგს. სწორედ ამ წუთს, როდესაც მე თქვენ გელაპარაკებით, თქვენ წარმომადგენელს მთავრობის ერთ-ერთი წევრი ელაპარაკება, თუ რა ბედი მოელის ბათუმს და როგორ შეხედავს თქვენი მთავრობა ბათუმის საკითხის ასე გადაჭრას. სანამ ეს მოლაპარაკება გათავდებოდეს, მე შემიძლია დაგარწმუნოთ თქვენ ის ზომები, რომლებიც დღევანდელამდე მიღებული იყო თქვენი მთავრობის მიერ, რომ ბათუმის საკითხი ჩვენს სასარგებლოთ გათავებულიყო.

მიუხედავათ იმისა, რომ მოკავშირეთა ზოგიერთ წარმომადგენელთაგან სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა ჩვენს ჯარს ბათუმის ოლქის ზოგიერთ პუნქტების დაჭერის დროს, ჩვენი მხედრობა მაინც არ შედრკა და მან 30 გრადუს ყინვაში გადაიარა აჭარის მთები და დღეს ზოგიერთი პუნქტები, რომელიც [illegible] კარგად წარმოადგენენ. ჩვენს ხელშია გარდა ხიხანისა, ჩვენი ჯარები დგას ხულოში, არტანუჯსა და ართვინში.

აჭარის ხალხი პურ მარილით შეხვდა ჩვენს ჯარს და არავითარი წინააღმდეგობა მცხოვრებთა მხრით იქ ადგილი არ ქონია. პირიქით, ხალხი სიხარულს გამოხატავდა და მადლობას უცხადებდა ჩვენს ჯარს. ამით ჩვენ [illegible] საბუთი გვაქვს იმისი, რომ აჭარის მცხოვრებნი ერთსულოვნად მოსურნე არიან საქართველოსთან გაერთიანებისა. ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადია ბათუმის მომავლის საკითხი. ჩვენ ვერ შევურიგდებით, რომ ბათუმი საქართველოს ჩამოაშორონ, ვინც არ უნდა ჩაიდინოს ეს.

ჩვენი მთავრობა მუდამ იმისი მოთავე იქნება, რომ რაც შეძლება დაჩქარებით ბათუმი საქართველოს გადმოეცეს. ჩვენი მთავრობისათვის არ არსებობს საბუთი, რომელსაც შეეძლოს ბათუმზე ხელი აგვაღებინოს ყოველი ასეთი ერთსულოვანი გამოსვლა [illegible] გაძლიერება იქნება თქვენი მთავრობისათვის და დამფუძნებელი კრება და მთავრობა, ვიდრე სული უდგას, ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ მტკიცეთ შეასრულოს თქვენი გადაწყვეტილება (ხანგრძლივი ტაში).

შ. აბდუშელიშვილი. ამხანაგებო! დღეს, ამ საერთო მწუხარების დღეს, საქართველოს მშრომელი ხალხი ფეხზე სდგას და ის წითელი დროშებით თავს იყრის იქ, სადაც მას შეუძლია უბედურების თუ ბედნიერების დროს თავი მოიყაროს.

აქედან ჩვენ უნდა ვუწყვიროთ მსოფლიოს, რომ ჩვენ მოგვგლიჯეს ის აკვანი სადაც პირველათ დაიღვარა საქართველოს დემოკრატიის უმანკო სისხლი დღეს ჩვენ აქედან უნდა მივესალმოთ ხალხის წარმომადგენლებს, თუ რას ფიქრობს ის ბათუმზე. დღეს ჩვენ უნდა მოვისმინოთ მთავრობის განცხადება და ვუთხრათ მას, რომ ჩვენ მზათ ვართ მასთან დავიხოცოთ, მხოლოდ ბათუმი ჩვენ დაგვიბრუნდეს.

ამხანაგებო! მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. პროლეტარიატი დღესაც ეუბნება თავის მთავრობას, რომ ის მზათ არის ან დაიხოცოს, ან ბათუმი დაიბრუნოს. ბათუმი ძვირფასია საქართველოს მუშათა კლასისათვის. მე დავალებული მაქვს საქართველოს პროფესიონალურ ცენტრალური კომიტეტის სახელით განვაცხადო, რომ ის მზათ არის დაიხოცოს და ბათუმი კი არავის მისცეს.

ი. იმედაშვილი. მოქალაქენო! მე აქ ახალს ვერაფერს ვიტყვი. მინდა მხოლოდ დარწმუნებით ვსთქვა, რომ მთავრობა დაუღალავად შეასრულებს თავის მოვალეობას, რომ ბათუმი საქართველოს დაუბრუნდეს. ამასთანავე ერთად დარწმუნებული ვართ, რომ ჯარიც და გვარდიაც გვერდში ამოუდგება მთავრობას ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ უნდა განვაცხადოთ ძველი მეომრების სახელით, რომ თუ მთავრობას არ ეყოფა ის შეიარაღებული ძალა, რომელიც მის ხელთ არის, მაშინ ჩვენ, ძველი მეომრები, მზათ ვართ გვერდში ამოვუდგეთ მას და დავიხოცოთ კიდეც ბათუმის ინტერესების დასაცავად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით არ. ჩიჩუა. ამხანაგებო! მე ვიცი დღეს ქართველი ხალხის ხმას შეუერთებს სახელ. უნივერ. სტუდენტთა ხმაც მე დამავალა ქართველმა სტუდენტობამ, რომ ის მზათ არის ჯარებთან და გვარდიასთან ერთად დაიცვას საქართველოს ინტერესების დასაცველათ. თქვენ გახსოვთ, თუ რა მწუხარებით დაბრუნდა ქართველი ახალგაზრდობა, როცა საქართველომ ბათუმი დაკარგა. მაგრამ დღეს ჩვენ მზათ ვართ იარაღს მოვკიდოთ ხელი და სისხლით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ არ გვეშინის ჩვენი თავის, ჩვენ ხალხთან ერთად ვართ და მასთან დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას. საქართველოს სტუდენტთა კავშირის გამგეობის და ქართველი სტუდენტობის სახელით მე ფიცით ვაცხადებ აქ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მეცნიერებას მოვკიდოთ ხელი მანამ, სანამ საქართველოს არსებობა განმტკიცებული არ იქნება.

გარეთ კახეთის წარმომადგენელი გ. მაისურაძე ამბობს: გარეთ კახეთის გლეხკაცობა მზათ არის იბრძოლოს ბათუმის დასაცავად უკანასკნელ კაცამდე. მათ შემომითვალეს: ზარბაზნებში ჩაგვსვით და გაგვისროლეთ იქეთ, საითაც ჩვენი მტერი არისო (ხანგრძლივი ტაში).

დეკანოზი ნ თალაკვაძე აღნიშნავს, რომ სურთ საქართველოს ამოთხარონ ერთი თვალი, მაგრამ საქართველო ამის ნებას არავის მისცემს. ის აღნიშნავს ბათუმის მნიშვნელობას საქართველოსათვის და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატია თავის განუყოფელ ნაწილს ბათუმს არავის დაუთმობს.

გამოჩნდა დელეგაცია რომელიც გაგზავნილ იყო მიტინგის მიერ დამფ. კრების თავმჯდომარესთან დელეგაციის სახელით ლაპარაკობს ა. ხელაძე. მიტინგმა მუშათა სასახლის წინ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია დამფ. კრებისათვის მოთხოვნილების წარსადგენათ. თქვენი დავალებით დელეგაცია წარუდგა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს და მოახსენა, რომ ხალხი მოითხოვს პასუხს მისგან, ამასთანავე გადავეცით რეზოლუცია, რომელიც თქვენ მიიღეთ როცა დამფ. კრების თავმჯდომარემ მოისმინა ჩვენი მოთხოვნილება, განაცხადა, რომ დამფ. კრება ისე მსჯელობს, როგორც საქართველოს დემოკრატია და ისიც ისე მოითხოვს ბათუმს. ის დაგვპირდა, რომ ჩვენს მოთხოვნას დამფ. კრებას წარუდგენს, მაგრამ რადგანაც ეს რამდენიმე ხანს გასტანს და ეს გადაწყვეტილება ჩვენ ვერ მიგვეწოდება აქ, ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს ხალხმა [illegible] დაიშალოს და თქვენი დელეგაცია კი გადმოგზავნოს მისიებთან, რომ გადასცეს ზეპირი მოთხოვნები და რეზოლუციები. თავმჯდომარემ მიტინგს [illegible] ხალხი სრულის წესრიგით [illegible] კი მიემგზავრება მისიებთან.

პირველათ დელეგაცია [illegible] ინგლისის უმაღლესი კომისარი მ. ოლ. უორდროპი, რომელმაც დიდის თავაზიანობით მიიღო დელეგაცია და შემდეგი განუცხადა:

„მე გავიგე დღეს რუსთაველის პროსპექტზე, ვნახე თქვენი დიდი, წარმოუდგენელი მიტინგი. მესმის თქვენი გრძნობები, აღშფოთება. თუ დამიჯერებთ, შემიძლია თქვენზე ნაკლებ არც მე ვწუხდე ბათუმის შესახებ. სამწუხაროდ, დღეს-დღეობით სხვა გზა არაა ბათუმის საკითხის საუკეთესოდ გადასაჭრელად. ინფორმაცია, მიწერ-მოწერა ჩემს მთავრობასთან ძალზე გვიანდება. მ კვირის წინად გამოგზავნილი დეპეშა მივიღე მხოლოდ დღეს. ასეთ პირობებში საქმის გამორკვევას უნდება დიდი დრო. ამიტომ, დღეს ბათუმის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, მიუხედავათ ჩემის აზრით, თქვენთვისაც სასარგებლო და ხელსაყრელია იქ მოკავშირეთა ჯარების დარჩენა. პორტო-ფრანკოთ ქალაქის გამოცხადება ნუ შეგაშინებთ. ყოფილა შემთხვევები რომელიმე ქალაქის პორტო-ფრანკოთ გამოცხადება, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, ვაჭრობის შესახებ დაინტერესებული ქალაქი ყოფილა რომელიმე სახელმწიფოსი. ასე შეიძლება მოხდეს ახლაც. ბათუმი, მე იმედი მაქვს, იქნება საქართველოს რესპუბლიკასთან ერთი და განუყოფელი, ხოლო დარბაისლობა, დინჯობა და მოცდა საჭიროა. მე ვაცხადებ, რომ არავითარ დიპლომატიურ არაოფიციალურ მოლაპარაკებებს ადგილი არა აქვს. თფილისის პრესა მეტად აჭარბებს და ეს საქმეს არ გადაუჭრის. ბევრი მტერი გყავთ. ბევრი პროვოკატორია თვით თფილისში. აჭარაში ფულსაც ხარჯავენ საქართველოს [illegible] ბევრს ყელში ადგია [illegible]. მტრები [illegible] ასეთ პროვოკატორებს, თქვენ მტრებს. ქართველები დინჯი, წინდახედული ხართ და იმედია, ამ საკითხშიც არ აჩქარდებით. დღეს რომ მოკავშირეებმა ბათუმიდან თავიანთი ჯარები გაიყვანონ განა ეს უკეთესი იქნება საქართველოსთვის? მერწმუნეთ, რომ არა. თუ რა მოჰყვება წასვლიდან ჩვენი ჯარების გაყვანას ადვილად წარმოიდგენთ. ისევ არეულობა, ომი, სისხლის ღვრა. და განა [illegible] ასე გამწვავება საქართველოსთვის კარგია, სასარგებლო“!

ბათუმის გუბერნატორის კუკოლისის მოქმედებას როგორ უყურებთ. შეეკითხა დელეგატი შ. აბდუშელიშვილი. უორდროპმა უპასუხა:

„ბათუმში ზოგიერთი ჩვენი ოფიცრების მოქმედება მეც მაღიზიანებს.

„დღევანდელი მიტინგიც ჩემი აზრით ნათელყოფს. მე ვიცი თქვენი ერთსულოვნება, მოუთმენლობა. მე ვიცი, რომ ძვირფასია თქვენთვის ბათუმი, მაგრამ ასეთი გამოსვლების დრო ჯერ არაა. საქმე, მე, იმედი მაქვს, საქართველოს სასარგებლოთ გადაწყდება, თუ აჩქარებით არ წახდენთ და არ გაამწვავებთ საქმის ვითარებას“.

დამბოლოს ბატონმა უორდროპმა კიდევ ხაზგასმით დაუმატა, რომ მას საქართველო მეტად უყვარს, საქართველოს საქმეს და მის კეთილდღეობას დიდ ყურადღებას აქცევს და ყოველ ღონის ძიებას იხმარს, რომ როგორც ბათუმის საკითხი, ისე სხვა საკითხებიც გადაწყდეს საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

აქედან დელეგატები გაემგზავრნენ ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის მისიებთან, რომელთაც გადასცეს ფრანგულ ენაზე დაწერილი და მიტინგის მიერ მიღებული რეზოლუციები.

დღიური კითხვები

ანეკდოტური პოლიტიკა

საუცხოვოა ბოლშევიკების ტაქტიკა. ერთი ცნობა მეორეზე შესანიშნავი ლოგიკური ძიებით არის გადახვეწილი.

აი მაგალითათ დღევანდელი ცნობები გერმანიის შესახებ.

პირველი:—კაპპი პოლიტიკური ასპარეზიდან გადადგა სპარტაკელების გავლენით.

მეორე: — დიქტატორათ დაინიშნა ლიუტვიცი.

მესამე:—ელიან სპარტაკელების გამოსვლას.

კაპიც რეაქციონური სარდალია და ლიუტვიციც.

თუ სპარტაკელების გავლენამ ერთი გააქცია, მეორე საიდან, ან როგორ დაბრძანებულა დიქტატორის ადგილზე. თუ სპარტაკელების გავლენას ადგილი ჰქონდა, ალბათ მათი გამოსვლაც მომხდარა.

თუ მოხდა, რაღას ელიან?

საერთო ცნობა გავს ერთ ანეკდოტს: ჯერ ერთი—მე შენგან ქოთანი არ მინათხოვრებია.

მეორე,—გატეხილი იყო, როცა ვინათხოვრე.

მესამე,—უკან კი მთელი დაბრუნდნენ.

ამ ანეკდოტურ პოლიტიკას აქვს ერთი მიზანი. უნდათ, რომ შეუგნებელ ხალხს ყურები გამოუჭრან,—ხედავთ, თუ არა, გერმანიაშიაც ჩვენი მოძრაობა იმარჯვებსო.

ამით მიაღწევენ სულ სხვა მიზანს. ნდობას დაკარგავენ იქ, სადაც ისე თუ ისე კიდევ ენდობიან. ასე დაემართა გრიბოედოვის გმირს: მიდიოდა ერთ ოთახში და მოხვდა მეორეში.

ხანი.

გერმანიაში

(ფრანგული ცნობებიდან)

კოლუხანის სააგენტოს ცნობა. სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება გერმანიაში სრულიად დამარცხდა. კაპი და ლიუტვიცი გაიქცა. მაკენზენის მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ფონ ზეკტი, ბერლინის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა. დემოკრატიული პარტიის მანიფესტი იუწყება, რომ ებერტის, ბაუერის მთავრობა თანახმაა შეადგინოს ახალი სამინისტრო, დანიშნოს რეიხსტაგში არჩევნები და სახელმწიფოს პრეზიდენტის სახალხო არჩევნები. აი სამი რეფორმა, რომელსაც რევოლუცია მოითხოვს.

ებერტის და ბაუერის მთავრობა ბერლინში ბრუნდება. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა ლიუტვიცის დასაპატიმრებლად. ხუთშაბათს 4 საათზე დაიწყო ბერლინის დატოვება აჯანყებულ საზღვაო ბრიგადის მიერ. მათ დროშებით და მუსიკით გაიარეს აჯანყებულ ხალხის წინ, რომელიც ლიუტვიცს აგინებდა. როდესაც პირველი კორპუსი ბრანდენბურგის მიმართულებით გამოვიდა, არეულ-დარეული მობრუნდა და ხალხს სროლა დაუწყო. „პარიზ ერპლატცზე" და „უნტერდ ენლინდენზე" მერე კორპუსი „პარიზერ პლატზე" ხალხს ჯავშნიანი ავტომობილიდან ესროდა. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

ჟურნალი „ლე-დება" გერმანიის მდგომარეობის შესახებ დეპეშების შინაარსის მიხედვით შემდეგ ცნობებს იძლევა: მდგომარეობა თანდათან ირკვევა. ფიქრობენ, რომ მომავალ კვირაში ბერლინში ეროვნული ყრილობა ისევ მოწესრიგდება. მთავრობაც უეჭველად იქ იქნება. მოელიან კაბინეტში ზოგიერთ ცვლილებას. შესაძლებელია, რომ კანცლერს დაევალოს ახალი მთავრობის შედგენა. რაც შეეხება უკიდურესთა მოძრაობას, დღემდე ის მეტად არ გაძლიერებულა. ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ არ გამორკვეულა. საბოლოო აზრის გამოთქმა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია მთავრობამ ამათზედაც გაიმარჯვოს.

პარიზში საზავო კონფერენციასთან მყოფმა გერმანიის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა: კაპმა ლიუტვიცთან ერთად ბერლინი დასტოვა. საქმის ხელმძღვანელობა მიენდო შიფერს, რომელიც ებერტ-ბაუერის ვიცე კანცლერად ითვლება. ამგვარად, კანონიერი მთავრობა კიდევ დამყარდა ბერლინში. ავრცელებენ ხმებს, თითქოს ბერლინში საბჭოთა რესპუბლიკა დაარსებიათ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

სტამბოლში

ფრანგული გაზეთები იტყობინებიან: ამ მარტს მოკავშირეთა ჯარები შევიდენ არა კონსტანტინეპოლში, როგორც ეს საზავო ხელშეკრულობით იყო წინდახედული, არამედ დაიჭირეს ქალაქის ზოგი ადგილები, სადგურები, სამხედრო და საზღვაო სამინისტროები, ცენტრალური სატელეგრაფო სადგური და სხ. დაიჭირეს რამდენიმე პირი ახალგაზრდა თურქთა პარტიისა, მათ შორის ქუჩუკ ჯემალი, ალი რიზას კაბინეტის ყოფილი სამხედრო მინისტრი და ჯემალ ფაშა, გენერალურ შტაბის უფროსი.

უმაღლესი საბჭოს სხდომა.

როგორც ლონდონიდან „პტი ჟურნალს" ატყობინებენ, ხუთშაბათს მოხდარა უმაღლეს საბჭოს ორი სხდომა. პირველი საგარეო საქმეთა სამინისტროში ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების პირობები რედაქცია და სხვა სპეციალურათ ფინანსიური საკითხები. ზოგი მუხლი მიიღეს, ზოგი კი კვლავ დააბრუნეს შინა კომისიებში. საერთოდ კონსტანტინეპოლის ოკუპაცია გვიჩვენებს იმას, რომ საზავო ხელშეკრულების პირობებში საკმაოთ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. დღის კრება მოხდა ლოიდ ჯორჯთან მისი თავმჯდომარეობით. კერზონსა და ბერტელოს გარდა იქ დაესწრნენ: ნიტი, მარკიზ იმპერიალი, იაპონიისა და ბელგიის ელჩები და სამხედრო ექსპერტები. განიხილეს აგრეთვე გერმანიაში მომხდარი მოვლენები, მაგრამ ეს იყო აზრთა უბრალო გაცვლა-გამოცვლა. არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. ჯერ-ჯერობით უცდიან საქმის მდგომარეობას.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. მარტის 19. პეტროზავოდსკის მხარეში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სოფ. სეველოზერო აიღო, (სეველოზეროს ტბის დასავლეთ ნაპირზე). სეზენსკის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ზლობინო-მოზირის მიმართულებით მტერი შეეცადა ბერეზინაზე გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ოვრუჩ-კოროსტენის და პოდოლიის მოგილევის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება.

ოდესის რაიონში საფრანგეთის გემები, რომლებიც გარეთ რეიდში იდგენ ზღვაში წავიდენ. სივაშის რაიონში ჩონგარის ხიდთან სროლაა. მტერმა სადგურ ჩონგარს რამდენიმე ყუმბარა ესროლა, მაგრამ უშედეგოთ.

17 მარტს ჩვენ ეკატერინოდარი ავიღეთ. სტავროპოლის რაიონში სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი შეტევა ვითარდება.

ახალი ამბები

იტალიის მისიის მეთაურის პოლკოვნიკ გაბბასაგან საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა შემდეგი წერილი მიიღო: ეს არის ეხლა მივიღე თქვენი ნოტა (№ 2222 18 მარტიდან): გარწმუნებთ, რომ ყველა მის დებულება დღესვე გადაცემულ იქმნება რადიოთი იტალიის მთავრობისადმი. სწორედ ეხშინ, როდესაც მე უკან ვბრუნდებოდი ბათომიდან, რამდენიმე შევატყობინე ჩემს მთავრობას და ვაცნობე ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიიღო უმაღლესმა საბჭომ ბათომის გამო, მე ვსთხოვდი სასწრაფოდ გავცნობებინათ ჩემთვის არა მარტო ქალაქის, არამედ მთელი ოლქის ბედის მომავალიც. მე ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გაცნობოთ თქვენ ჩემი პირადი აზრი, რომელიც კარგათ იცის იტალიის მეფის მთავრობამ, რომ ბათომის მთელი ოლქი ქალაქთან ერთად უნდა გადაეცეს საქართველოს მხოლოდ იმ გარანტიით, რომ განსაზღვრულ დროის განმავლობაში იქნება განსაკუთრებული მართველობა და ნავთსადგურით ყველა ერები ისარგებლებს, რომლებიც ამით დაინტერესებულნი არიან, უპირველესად ყოვლისა, სომხა ამიერკავკასიის ერმა. ვალდებულად ვრაცხ თავს დავსძინო, რომ საკითხის ასე გადაჭრა ფრიად ხელსაყრელი იქნება თვით საქართველოსთვის, თუ მივიღებთ მხედველობაში განსაკუთრებულ მდგომარეობას ფოთის და ბათომის ნავთსადგურებისა ბოლშევიკების ოკუპაციის გამო, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირების მხრიდან, ოკუპაცია, რომელიც მოკლე ხანში მიაღწევს ნოვოროსიისკს და ტუაპსეს. მე გადავიკითხე დენიკინის ცნობა და ვაცხადებ, რომ მე ვერ ვიპოვე იქ არავითარი წინააღმდეგობა იმ ცნობასთან შედარებით, რომელიც მე თითონ პირადათ მქონდა თქვენთვის გადმოცემული 9 მარტს; მაგ. უორდროპის ტექსტში მე აღვნიშნე: „ჯერ-ჯერობით", რომელიც გვითითებს, ჩემის აზრით, მიღებულ გადაწყვეტილების დროებით ხასიათზე, ამის შესახებ შევეკითხები იტალიის მეფის მთავრობას, რათა საჭირო ცნობები მომაწოდოს".

◆ **მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.** ამას წინად მთავრობამ შეიძინა უცხოელ ფირმისაგან 50 ათასი კოლოფი საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლი, რომელიც უკვე შემოწმებულია თფილისის საბაბრეშუმო სადგურის მიერ და ცნობილია საღ თესლად. მეაბრეშუმეების წასახალისებლად მთავრობამ დაადგინა თესლი დაურიგდეს მეაბრეშუმეებს შეღავათიან პირობებში. კერძო პირები 6 მისხლიან კოლოფს ყიდიან 600—700 მ. მთავრობის ფასები კი კოლოფზე 300 მან. თესლის შეძენა შეიძლება კოოპერატივებში, ერობებთან და აგრეთვე ზოგიერთ კერძო საწარმოებიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომლებიც იკისრებენ მთავრობის თესლის დარიგებას, შეუძლიათ, თფილისის და ქუთაისის საბაბრეშუმო სადგურებში და აგრეთვე მიწათ მოქმედების სამინისტროში.

◆ **განახლდა ტელეგრაფის მოქმედება** არტაანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლას აწარმოებს ახალციხის კანტორასთან.

◆ **ნახშირი.** ქალაქ თფილისის სასურსათო განყოფილება არიგებს ნახშირს სახლების, რაიონების და უბნის კომიტეტებზედ, დაწესებულებებზე და ოჯახებზედ თითო ფუთს სულზედ. ფუთს 50 მანეთად 5 ფუთზე ნაკლების გამოწერა სასურსათო განყოფილებაში არ შეიძლება.

◆ **სახალხო სამეურნეო საწყობი.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს საბაზრო-შუშო სადგურთან, მუშტაიდის ბაღის შესავალთან, მოაწყო სასოფლო-სამეურნეო საწყობი, სადაც იაფ ფასებში გაიყიდება ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მასალები. მასალების პირველი ნაწილი უკვე მოვიდა ევროპიდან, დანარჩენებს ამ დღეებში მოელიან. იქვე გაიყიდება ბოსტნეულობისა და სხვა მცენარეების თესლეულობა.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარსა და გვარდიაში.** დღეს, კვირას, 21 მარტს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ოპერა „ქეთო და კოტე".

◆ **საქ. სოც. დემ. მ. პ.** თფილისის კომიტეტის პრეზიდიუმი სთხოვს თფ. კომიტეტის წევრებს გამოცხადდნენ ორშაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 ს. ნაძალადევში პირველ რაიონის კოლექტივის კრებაზე. (მისამართი: კოლექტივის ბინა).

◆ **გურიის მუშათა კლუბი.** დღეს წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული ცნობილი ოთხ მოქმედებიანი დრამა „ქრისტინე". დასაწყისი საღ. 8 ს.

◆ **„ეშმაკის მათრახი."** გამოვიდა ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" მორიგი (18) ნომერი.

◆ **შეცდომის გასწორება.** დამფუძნებელი კრების ანგარიშში კორექტურული შეცდომით შეპარული პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ. ვასწორებთ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ქ. ჩხეიძე, მის უმფროსს ამხანაგათ ალ. ლომთათიძე, უმცროს ამხანაგებათ ს. მდივანი და ექ. თაყაიშვილი, მდივნებათ: ქრ. შარაშიძე და კ. ჯაფარიძე.

კრებები.

ორშაბათს 22 მარტს საღ. 5 ს. ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ ორგანოს. წევრთა საერთო კრება. ამხ. დ. ხარაიშვილის კრებაზე დასწრება აუცილებელია.

— დღეს, დილის 10 ს. მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროს. № 123) დანიშნულია ლითონზე მომუშავეთა, შოფერების და ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირების წევრების საზოგადო კრება. თუ დანიშნულ დროზე საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, მაშინ კრება გაიხსნება 11 ს. და კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლებმა თან უნდა იქონიონ სიები კომიტეტების წევრებისა.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში შემდეგ შენიშვნას.

„სახალხო საქმის" 17 მარტის №-ში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ფირმა „კოსმოსი"-ს ვექილი უდიერათ იყო მოხსენებული.

„სახალხო საქმის" რედაქციის საყურადღებოთ, უნდა აღვნიშნო შემდეგი:

1. ინგლისელ ფირმას „კოსმოსს" ამა თუ იმ იურიდიულ საკითხების შესახებ, რომელნიც ფირმას აღძრება და რომლის გადაწყვეტა ფირმისათვის საჭიროა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, მე ვაძლევ იურიდიულ დასკვნას.

ამგვარ დასკვნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ ნაფიცი ვექილი აძლევს ყველას, ვინც მას მიმართავს. ჩემ ბინაზე ყოველ დღე ნახავთ სხვადასხვა მხრიდან მოსულ მოქალაქეთ, სოფლელებს, რომლებსაც მე იურიდიულ რჩევა-დარიგებას ვაძლევ.

ასეთ შემთხვევაში რა საკადრისი იყო ჩემი უდიერათ მოხსენება?

მე მგონია, რომ ავტორისთვის დიდ ღირსებას არ უნდა შეადგენდეს, პრესაში ასეთი გარემოების კითხვის ქვეშ აღნიშვნა!

2. რაც შეეხება „სიბუნიონის" ხელშეკრულობის დადებაში ჩემ მონაწილეობას, ეს „მონაწილეობა" გამოიხატა იმაში, რომ მე ორჯელ დავესწარი იმ თათბირს, რომელიც ფინანსთა მინისტრთან იყო გამართული ამ ხელშეკრულების შესახებ და ორჯელვე სახელმწიფოებრივ ინტერესების ნიადაგზე ვიდექი, ვურჩევდი სამინისტროს ფრთხილად მოქცეულიყო, ყოველი საკითხი მთავრობაში გაეტარებინა, თავის ინტერესების დასაცავად ყოველი გარანტია მოეთხოვა, შეკითხოდა ფირმის შესახებ ინგლისის მისიას და სხვა, რაც კარგათ იცის ფინანსთა მინისტრმა და ამ თათბირზე სხვა მონაწილეებმა. ხელშეკრულებაც ყოველივე თადარიგის დაცვით იქნა შედგენილი და მთავრობის მიერ მიღებული.

გვიანდა დროს და ამ ფირმის დირექტორმა სმიტმა მთხოვა მიმელო ფირმის სასამართლო საქმეების წარმოება და აღძრულ საკითხებზე იურიდიული დასკვნის მიცემა მას შემდეგ, რაც მე დავრწმუნდი (დამფ. კრებაში შეკითხვის შეტანამდის), რომ ამ ფირმას არ სურდა ჩვენში სერიოზული მუშაობა, მე ამ მოვალეობაზე უარი განვაცხადე და მით ჩვენ შორის ყოველივე დამოკიდებულება და ვალდებულება მოისპო.

არავითარი კავშირი ფირმის კომერციულ საქმეებთან მე არ მქონია და არც შეიძლება მქონებოდეს.

ეს იყო და ეს.

„სახალხო საქმე"-მ კარგათ იცის, რომ ნაფიცი ვექილის მოვალეობის ასრულება არავისათვის სათაკილო არ არის, მაგრამ „კაცმა ცხენს ვერ მოერია და უნაგირს მტვრევა დაუწყო" ო, ამაზეა ნათქვამი.

ნაფიცი ვექილი გრ. გიორგაძე.

უცხოეთი

რუსეთი.

ნოვოროსიისკში. „მოხალისეთა" ტერიტორიის შემცირების გამო ნოვოროსიისკი სავსეა სამხედრო ნაწილებით და გამოქცეულ და გადმოყვანილ ავადმყოფ დაჭრილებით. განსაკუთრებით იმატა პარტახტიან ტიფით დაავადმყოფებულთა რიცხვმა. გაზაფხულზე მოსალოდნელია გავრცელდეს ხოლერა. ლაზარეთები სავსეა; ახალის გახსნა შეუძლებელია შენობის უქონლობის გამო; მდგომარეობა კატასტროფიულია. განსაკუთრებულ უნუგეშო მდგომარეობაშია ნავთსადგური და „კარანტინი". მდგომარეობა თანდათან უარესდება. ერთად ერთ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს დაავადმყოფებულთა გელენჯიკში ან ყაბარდინკაში გადაყვანა, მაგრამ ესეც შეუძლებელი ხდება, ვინაიდან დაავადმყოფებულთ იქ საფრთხე მოელით მწვანე არმიელთა მხრით.

აზერბეიჯანი.

სურსათის შეძენა. აზერბეიჯანმა ბათუმში შეისყიდა დიდძალი საქონელი და სხვათა შორის, 22 ათასი ფუთი ყუბანიდან გამოგზავნილი ფქვილი და 1 ათასი ფუთი ხორბალი. შესყიდულ საქონლის სამაგიეროთ აზერბეიჯანმა ნავთი უნდა მისცეს.

სომხეთი.

სომხეთის როლი. გაზ. „ტაიმს"-ის სამხედრო მიმომხილველი ეხება მესოპოტამიის საკითხს და აღნიშნავს იმ სიძნელეს, რასაც ეს საკითხი წარმოადგენს ინგლისისათვის. მესოპოტამიის დაცვა, ამბობს მიმომხილველი, დიდ ძალას მოითხოვს. ამიტომ სომხეთის სახელმწიფოს ინგლისისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; თუ დღემდე ინგლისი სომხეთს ეხმარებოდა მხოლოდ ზნეობრივის მოსაზრებით, ამიერიდან ამ დახმარებას ინგლისის ეკონომიური ინტერესებიც მოითხოვს. თუ ეს სახელმწიფო მტერთა ხელში გადავიდა, ამბობს გაზეთი, მაშინ საფრთხე ებადება მესოპოტამიის, ინდოეთის და სპარსეთის არსებობისათვის.

ბათუმის გარშემო

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ქუთაისის ქალაქის საბჭო უმაღლეს საბჭოს მიერ ბათომის თავისუფალ ქალაქათ გამოცხადებით ქართველი ერის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, პოლიტიკური და ეკონომიურ უფლებების ფეხქვეშ გათელვას ხედავს. საბჭო მთელი მოქალაქეების სახელით მომხდარ სამწუხარო ამბის გამო პროტესტს აცხადებს და ენერგიულად მოითხოვს მომხდარ უსამართლობის გამოსწორებას და ბათომის საქართველოსათვის დაბრუნებას. იცოდეს მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ, დამფუძნებელმა კრებამ და ჩვენმა მთავრობამ, რომ უბათუმოთ ცხოვრება ქართველ ერს არ შეუძლია. ამიმაღლეთ ხმა ფეხქვეშ გათელილი ერის უფლებების დასაცველათ. ამ ბრძოლაში ჩვენ თქვენთან ვიქნებით.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ხახუტ კილაძე.

— —

ახალციხე. (ასლი ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის მისიებს). მრავალრიცხოვანი მიტინგი შეკრებილი ახალციხეში, რომელსაც დაესწრნენ პროფესიონალური კავშირები, ყველა პარტიები, მოქალაქენი, გვარდია, ჯარი, პროტესტს აცხადებს იმ ახალ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელთაც ფეხქვეშ სთელავენ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. საქართველოს ტყუილად კი არ მოურწყავს ბათუმის ფორტები თავის შვილების სისხლით. დეე ყველამ იცოდეს, რომ საქართველოს დემოკრატიას შეუძლია გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისაგან. ბათუმი ჩვენია და თუ იმის დაბრუნებისათვის კვლავ მსხვერპლია საჭირო, დეე ასე იყოს. ბათუმი ჩვენია.

მიტინგის თავმჯდომარე ცხაკაიძე.

— —

ჩოხატაური (ამერიკის მისიას) ჩოხატაური და მთელი მისი რაიონის მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ბათუმის დედა ქალაქი საქართველოზე ჩამოშორებით უღრმესად აღშფოთებული, სთხოვს ხალხთა ლიგის პიონერს ამერიკის მთავრობას მიიღოს ზომები და დაუბრუნოს საქართველოს ძალით ჩამოშორებული ბათუმი. როგორც მისი ტერიტორიალურად, ეთნოგრაფიულათ, ეკონომიურად და ეროვნულად განუყოფელი ნაწილი.

მიტინგის თავმჯდომარე აფთან. ცინცაძე.

— —

ჩოხატაური (საფრანგეთის მისიას) ჩოხატაურის და მთელი მისი რაიონის მოქალაქეების მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ბათუმის დედა საქართველოზე ჩამოშორებით უღრმესად აღშფოთებული სთხოვს დიდი რევოლიუციის სამშობლო საფრანგეთის მთავრობას მიიღოს ზომები, რათა დაუბრუნდეს საქართველოს ძალად ჩამოგლეჯილი ბათუმი როგორც მისი ტერიტორიულ ეთნოგრაფიულათ, ისტორიულად და ეროვნულად კულტ.-ეკონომ. განუყოფელი ნაწილი. ქართველი ერი უბათუმოთ სასიკვდილოთ დაჭრილია საფრანგეთის მონაწილეობით ცნობილი მისი დამოუკიდებლობა გაქარწყლებულია. მიტინგის თავმჯდომარე აფთონ ცინცაძე.

— —

აბაშა. (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის მისიებს). აბაშის რაიონის ყველა საზოგადოების მცხოვრებთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, შეკრებილი ბათუმის საკითხის უსამართლოთ გადაჭრის გამო, გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას, რომ საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის ინტერესების დაცვის ნაცვლად მოკავშირეთა ახალი გადაწყვეტილება ბათომის პორტოფრანკოთ გამოცხადების შესახებ, პოლიტიკურ ეკონომიურად აქვეითებს მის ხალხს და მის ნაცვლად, რომ დაადგეს სახელმწიფოს აღმშენებლობის გზას, ნიადაგს უმზადებს მის [illegible] ანარქიისკენ. ჩვენ გვწამს, რომ ბათომის საკითხი, ხელახლა გაირჩევა და გადაწყდება ბათუმის ოლქის მცხოვრებთა გადაწყვეტილების და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების მოთხოვნილების თანახმად, რომ მოკავშირეთა საბჭო არ უღალატებს ერთხელ აღიარებულ სამართლიან პრინციპებს ერთა თვით გამორკვევისას და ბათომის ოლქი დაუბრუნდება განუყრელ დედა საქართველოს.

მიტინგის თავმჯდომარე ბაკურაძე.

— —

ოზურგეთი. (საფრანგეთის მისიის წარმომადგენელს). გურიის დედა ქალაქის ოზურგეთის და მის გარშემო მდებარე თემთა მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი ბათუმის დედა საქართველოზე ჩამოშორებით უღრმესად აღშფოთებული სთხოვს დიდი რევოლიუციის სამშობლო საფრანგეთის მთავრობას მიიღოს ზომები, რათა დაუბრუნდეს საქართველოს ძალით ჩამოგლეჯილი ბათუმი როგორც მისი ტერიტორიულათ, ეკონომიურათ, ისტორიულ-კულტურულად და ეკონომიურად განუყოფელი ნაწილი, ქართველი ერი უბათუმოდ სასიკვდილოთ დაჭრილია საფრანგეთის მონაწილეობით ცნობილი მისი დამოუკიდებლობა გაქარწყლებულია.

— —

ბაკურიანი. 19 მარტს ბაკურიანში შედგა რვა სოფლის მრავალ რიცხოვანი კრება. მოხსენება გააკეთა ბაქრაძემ ბათუმის შესახებ. განურჩევლად ეროვნებისა, კრებამ ერთხმად დაადგინა ბათუმი თავის ოლქებით შეერთებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკასთან, რასაც მოითხოვს ორივე მხრის დემოკრატიის ინტერესები როგორც პოლიტიკურათ აგრეთვე ეკონომიურათ.

თავმჯდომარე კაპანაძე.

— —

ოზურგეთი. (ამერიკის წარმომადგენელს). გურიის დედა ქალაქ ოზურგეთის და მის გარშემო მდებარე თემთა მოქალაქეების მრავალ რიცხოვანი მიტინგი ბათუმის დედა საქართველოზე ჩამოშორებით უღრმესად აღშფოთებული სთხოვს ხალხთა ლიგის პიონერის ამერიკის მთავრობას მიიღოს ზომები, რათა დაუბრუნდეს საქართველოს ძალით ჩამოგლეჯილი ბათუმი როგორც მისი ტერიტორიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულ კულტურულათ და ეკონომიურად განუყოფელი ნაწილი. ქართველი ერი უბათუმოთ სასიკვდილოდ დაჭრილია. მისი დამოუკიდებლობა გაქარწყლებულია.

მიტინგის თავმჯდომარე ქ. ქარცივაძე

— —

ხარაგოული. ბათუმის საერთაშორისო ქალაქად გამოცხადება ჩვენთვის, როგორც მთელი საქართველოსთვის სამწუხაროა ესა პროტესტს ვაცხადებთ. ბათუმს ჩვენ ვერავის დავუთმობთ. პირველ მოწოდებისთანავე ჩვენ მზად ვართ [illegible] იმ ზომებით ვიბრძოლოთ ბათუმისათვის და მთელი ოლქისათვის, როგორც საჭიროთ დაინახავს მთავრობა.

ხარაგოულის კრების მონდობილობით გურგენიძე.

— —

ჩოხატაური ინგლისის მისიას დაბა ჩოხატაურის და მთელი მისი რაიონის მრავალრიცხოვანი მიტინგი ბათუმს დედა საქართველოზე, ჩამოშორებით უღრმესად აღშფოთებული სთხოვს თავისუფალ დემოკრატიის სამშობლო დიდი ბრიტანეთის მთავრობას მიიღოს ზომები, რათა დაუბრუნდეს საქართველოს ძალით ჩამოგლეჯილი ბათუმი როგორც მისი ტერიტორიალურად კულტურულად განუყოფელი ნაწილი ქართველი ერი უბათუმოთ სიკვდილით დაჭრილია ბრიტანეთის მთავრობის ცნობილი მისი დამოუკიდებლობა გაქარწყლებულია მიტინგის თავმჯდომარე აფთონ ცინცაძე.

— —

ზანძა. 19 მარტს ზანძაში შემდგარი ზანძის, აღებათის და ლეზაინდრის საზოგადოების მცხოვრებთა დიდი სახალხო მიტინგი აღელვებული ბათუმის საკითხის საზავო კონფერენციის მიერ საქართველოსთვის არა სასურველად გადაჭრით გაკვირვებას გამოსთქვამს საქართველოს მთავრობის მიმართ—რატომ დღემდის არ გადადგა გადამჭრელი ნაბიჯი ბათუმის შემოერთებისთვის. ხალხი ბათუმში სიმდიდრის წყაროს კი არ ხედავს, რომ იქ ძალით შეიჭრას, არამედ—ის როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი ძალით მოგლიჯეს მას მთლიან სხეულს სასიკვდილო ლახვარი ქართველმა ხალხმა მოთმინებით აიტანა იმ იმედით, რომ საზავო კონფერენცია სამართლიანი განცხადება ერთათვითგამორკვევის პრინციპზე მალამოდ დაედებოდა ქართველი ხალხის ჭრილობებს ბათუმის საქართველოსადმი დაბრუნებით, როგორც ვხედავთ, უმაღლესმა საბჭომ საბოლოოდ ვერ სთქვა თავისი გადამჭრელი სიტყვა ბათუმის შესახებ, რაც გაუგებარია ჩვენთვის და მეტის მეტი ამღელვებელია ქართველი ხალხის და ბათუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ ხმა მაღლა ვეძახით ევროპის ხალხს: კმარა მოთმენა, კმარა ლოდინი, გაამართლეთ ერთა თვით გამორკვევის პრინციპები დააკმაყოფილეთ ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა სამართლიანი განცხადებანი, რომელთაც სურთ ქართველ მოძმე ერს არ გამოეყონ, ნუ ჩადიან უსამართლობას! გვეძახით ევროპის მშრომელნო. მოითხოვეთ ქართველი დემოკრატიის სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ნუ უშლიან ხელს შინაურ ეროვნულ საკითხის მოგვარებაში. ბათუმს ვერ დავთმობთ. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობის ყოველივე ზომას მიღებულ ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებისათვის. ჩვენ თქვენთან ვართ.

მიტინგის თავმჯდომარე ესტატე კოდუა.

— —

ოზურგეთის და მთელი რაიონის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანი მიტინგს თავზარი დასცა ბათუმის საქართველოსთვის ჩამოშორების შესახებ ცნობამ. მიტინგი კატეგორიულად მოითხოვს ერის არჩეული მთავრობისაგან სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღებას ბათუმის საქართველოზე შემოერთების საკითხში.

მიტინგის თავმჯდომარე ქარცივაძე.

მუშათა შორის

ქ. თფილისის მეეტლეები შეიკრიბნენ რა 11 მარტს, 1920 წ. დაარსეს პროფესიონალური კავშირი და აირჩიეს გამგეობა, რომელშიაც შევიდნენ წევრებად შემდეგი პირები: არტემ ივანეს ძე ავეტოვი, ვასილ იროლიონის ძე რცხილაძე და იაგორ იოსების ძე კარალოვი.

გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ ყველა საკითხებზე, რაც კი შეეხება მგზავრების გადაყვან გადმოყვანას მეეტლეების საშუალებით, მიმართონ ზემოხსენებულ გამგეობას.

მოქალაქენო! მეეტლეები წარმოადგენენ მუშათა კლასს, მათი პიროვნება ხშირად ილახება ზოგიერთი მგზავრების მიერ გადაყვან-გადმოყვანის ანგარიშის გასწორების დროს. ამიტომ ასეთი უთანხმოების თავიდან ასაცილებლად გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ გამგზავრების უმალ გარიგდნენ ხოლმე მეეტლეებს.

გამგეობა.

ვისაც სურვილი აქვს სწრაფად და წესიერად იყიდოს ან გაყიდოს

სახლი

მამული, აგარაკები, მიწები, ნავთისა და ზღვის პირად მდებარე ადგილები, ქარხნები, ზავოდები, და ყოველგვარი სავაჭრო—საწარმოო დაწესებულებანი, ნოხები და სახლის მოწყობილობა შეუძლიათ ინტელიგენტთა ჯგუფის საშუალებით, რომელსაც საუცხოვოთ აქვს მოწყობილი კლიენტურა, დიდად მოთხოვნა და მიწოდება. მისამართი თფილისი დავითის ქ. № 3. ბინა № 2. (1036—1—1)

[illegible] სტამბა ვ. რუხაძისა, [illegible] შესახვევი № 1.